ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

11 ნოემბერი პარასკევი 2016
№ 223 (14 957) ფასი 1 ₾

სპორტული შაბათის მოლოდინში

დიდი ფეხბურთი და რაგბი თბილისში

გოლელოები გვინდა!

2-3

12

მუნდიალი 2018. შესარჩევი ციკლი. ევროპა. IV ტურის წინ 8-9

მოლოდ გამარჯვ

მსოფლიოს ჩემპიონატი 2018. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა. D ჯგუფი

საქართველო-მოლდოვა

თბილისი. დინამო არენა. 12 ნოემბერი. 21: 00 LIVE I არხზე

12 ნოემბერს, 21 საათზე, საქართველოს ეროვნული გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის საშინაო შეხვედრაში მოლდოვის ნაკრებს დაუპირისპირდება. რა თქმა უნდა, ვლადიმირ ვაისის კრებულს მიზნად მხოლოდ გამარჯვება აქვს დასახული. მოლდოვა არ არის სან მარინო და ანდორა, მაგრამ იმ ყალიბის გუნდია, რომლის ძლევაც საკუთარ მოედანზეც შეგვიძლია და სტუმრადაც...

საქართველო

მეკარეები - ნუკრი რევიშვილი (დინამო თბ), გიორგი ლორია (კრ. სოვეტოვი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

მცველები - უჩა ლობჟანიძე (დინამო თბ), ოთარ კაკაბაძე (ჟიმნასტიკი, ესპანეთი), სოლომონ კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი);

ნახევარმცველები - ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ვაკო გვილია (ბატე, ბელარუსი), მურთაზ დაუშვილი (დიოშდიორი, უნგრეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური (დინამო თბ), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ოთარ კიტეიშვილი (დინამო თბ), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), ვაკო ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი), ჯაბა ლიპარტია (ზორია, უკრაინა);

თავდამსხმელები - დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო თბ), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).

7 სექტემბერი: გვახსოვდეს და... დავივიწყოთ!

ჩვენ და მოლდოველები

ხვალინდელი მატჩით საქართველოს ეროვნული ნაკრები საფეხბურთო წელიწადს დაასრულებს. ძალიან გვინდა, რომ ჩვენმა უპირველესმა გუნდმა 2016 წლის უკანასკნელ მატჩში ქართველი გულშემატკივარი გაახაროს და ამ შესარჩევ ციკლში პირველი გამარჯვება მოიპოვოს!

კი ბატონო, ყველას ძალიან მოგვეწონა ჩვენი ნაკრების თამაშის ხარისხი ბოლო ორ მატჩში (განსაკუთრებით, უელსთან). არც ის გვავიწყდება, რომ იმავე უელსთან სულაც მოგება შეიძლებოდა, ხოლო მანამდე გართულ ორ ოფიციალურ შეხვედრაში (ირლანდიასა და ავსტრიასთან), თითო ქულა რომ აგვეღო, აბსოლუტური კანონზომიერება იქნებოდა...

სამწუხაროდ, დღესდღეობით, სულ სხვა რეალობაა: ამ შესარჩევ ციკლში ჩატარებულ სამ მატჩში მხოლოდ 1 ქულა გვაქვს და თუ გვინდა, რომ მომავალი წლის ოფიციალურ შეხვედრებს ჩვენთვის რაიმე დატვირთვა ჰქონდეს, მაშინ მოლდოვას აუცილებლად უნდა მოვუგოთ!

...შარშან, 8 ოქტომბერს, თბილისში გიბრალტარის ნაკრები რომ დავამარცხეთ (4:0), იმის შემდეგ საქართველოს ნაკრებს ოფიციალური მატჩი არ მოუგია. ამას გარდა, ასევე ოფიციალურ შეხვედრებში, თავისი პირველი გამარჯვების მოლოდინშია საქართველოს ნაკრების თავკაცი ვლადიმირ ვაისი. სლოვაკი სპეციალისტის ხელმძღვანელობით ჩვენმა უპირველესმა გუნდმა წლეულს ერთი მატჩი მოიგო (სტუმრად, ესპანეთთან!), 2 შეხვედრა ფრედ ითამაშა, ხოლო 4 - წააგო.

მთავარი მწვრთნელის გარდა, არანაკლები მოტივაცია უნდა ჰქონდეთ ჩვენს ფეხბურთელებსაც. სულ რაღაც ერთი თვის წინათ არ იყო, მართლაც მშვენიერი შთაბეჭდილება რომ დატოვეს ხვალინდელ მეტოქეზე ბევრად უფრო ძლიერ მოწინააღმდეგეებთან პაექრობებში?!.

თუმცა, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ თანამედროვე ფეხბურთში დიდი იშვიათობაა ისეთი მატჩები, სადაც გამარჯვებულის ვინაობა წინასწარ არის ცნობილი. არც იმან უნდა შეგვიყვანოს შეცდომაში, რომ მოლდოვის ნაკრები არასოდეს განეკუთვნებოდა თუნდაც საშუალო კატეგორიის გუნდების რიცხვს, და არც იმან, რომ მოლდოველები თბილისში წარუმატებელი სერიით (ზედიზედ 5 წაგება) ჩამოვიდნენ.

არადა, სამწუხარო რეალობაა - ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაში ვერც მოლდოველებს ვჯობნით. ქვემოთ ისტორიულ ექსკურსს შემოგთავაზებთ და მხოლოდ ოფიციალურ ურთიერთშეხვედრებზე გავამახვილებთ ყურადღებას...

უარყოფითი ბალანსი

საქართველოსა და მოლდოვის ნაკრებებს დღემდე 11 მატჩი ჩაუტარებიათ ერთმანეთთან და მცირე უპირატესობას ჩვენი ხვალინდელი მეტოქე ფლობს: 5 მოგება, 2 ფრე და 4 წაგება (ბურთების სხვაობა - 16:15).

ამ 11 დაპირისპირებიდან მხოლოდ 4 იყო ოფიციალური: 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში (ჩვენებისთვისაც და მოლდოველებისთვისაც სადებიუტო რომ იყო), ორივე მატჩი ... მოლდოველებმა მორით ახსნის, თუ როგორ „მოვახერხეთ“ და ის თამაში წავაგეთ! იშვიათად თუ იქნება მსგავსი მატჩი, როცა ერთ გუნდს „არანორმალური“ უპირატესობა ჰქონდეს და 20-მდე (!) უაღრესად ხელსაყრელი მომენტიდან ვერც ერთი ვერ გამოიყენოს!

კი, თურქ არბიტრთა აშკარად ტენდენციური მსაჯობაც თვალში საცემი იყო, სტუმართა ერთადერთი კონტრშეტევა რომ გოლით დასრულდა, ეგ ფაქტიც კონტექსტიდან ამოვარდნილს წააგავდა, მაგრამ მაინც ამოუხსნელი იყო, თუ როგორ ვერ

1994 წლის 7 სექტემბერი. საქართველო-მოლდოვა 0:1

იგეს, მომდევნოში კი (1998 წლის მსოფლიოს შესარჩევში) თითქმის სრულფასოვანი რევანში ავიღეთ.

თუმცა, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მაინც გვქონდა კი არა, დღეს გვაქვს: სწორედ მოლდოვის ნაკრებთან ჩაატარა თავისი პირველი ოფიციალური მატჩი საქართველოს ნაკრებმა და 1994 წლის 7 სექტემბრის ის მარცხიანი დღე კოშმარივით რჩება ქართველი გულშემატკივარის მეხსიერებაში!

კი, ბატონო, ორივე ნაკრებისათვის პირველი ოფიციალური მატჩი იყო, მაგრამ საქართველოს ნაკრები იმდენად გამოკვეთილ ფავორიტად მიიჩნეოდა, რომ თამაშამდე მხოლოდ იმაზე იყო ბჭობა, თუ რამდენბურთიანი სხვაობით მოვიგებდით ჩვენთვის სადებიუტო და ისტორიულ შეხვედრას.

მას შემდეგ, 22 წელიწადი გავიდა, მაგრამ დღემდე ვერავინ და ვერაფერი ახსნა, თუ როგორ „ავიხსენეთ“ ეს მატჩი, ანუ ... ეს ... ეს ... ეს

ეხა!

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. სერბეთი	3	2	1	0	8-4	7
2. ირლანდია	3	2	1	0	6-3	7
3. უელსი	3	1	2	0	7-3	5
4. ავსტრია	3	1	1	1	6-6	4
5. საქართველო	3	0	1	2	2-4	1
6. მოლდოვა	3	0	0	3	1-10	0

მოლდოვა

მეკარეები - ილია ჩებანუ (მორდოვია, რუსეთი), სტანისლავ ნამაშკო (ლევადიაკოსი, საბერძნეთი), ალექსეი კოშელევი (შერიფი), ნიკოლა კალანჩეა (კრაიოვა, რუმინეთი);

მცველები - ალექსანდრუ ეპურეანუ (ბაშაქშეჰირი, თურქეთი), კატალინ კარპი (ვიტორული, რუმინეთი), ადრიან კასკავალი (ლუჩ ენერგია, რუსეთი), ვიქტორ გოლოვატენკო (ზარია ბელცი), ვიტალი ბორდეანი (შერიფი), ვიაჩესლავ პოსმაკი (დაჩია), პეტრუ რაცუ, ვადიმ ბოლოჰანი (ორივე - მილსამი), იონ ჟარდანი (ზიმბრუ);

ნახევარმცველები - ალექსანდრ გაცკანი (როსტოვი, რუსეთი), ეუგენ ზასევიჩი (ტრაკაი, ლიტვა), გეორგე ანდრონიკი, ალექსანდრუ ანტონიუკი (ორივე - მილსამი), ვლადისლავ ივანოვი (ტირასპოლი), მაქსიმ მიხაილოვი (ზარია ბელცი), მაქსიმ ანტონიუკი (აკადემია);

თავდამსხმელები - ეუგენიუ სიდორენკო (მილსამი), იგორ ბუგაიოვი (ზარია ბელცი), რადუ გინსარი (შერიფი), დან სპატარუ (ზიმბრუ).

კარგი გუნდია. აგებენ, მაგრამ კარგ ფეხბურთს თამაშობენ...

ერთი მხრივ, არის შეგრძნება, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვდგავართ, რომ გუნდი შეიკრა, გამოჩნდა თავდაჯერება, დავიწყეთ შეტევა, ვთამაშობთ უშიშრად... ჩვენი ერთ-ერთი თამაში გავარჩიეთ, ვნახეთ ჩვენ მიერ გატანილი და გაშვებული გოლები. დავასკვენით, რომ უფრო მეტი თავდაჯერება გვჭირდება".

ჯანო ვერაო...

საქართველოს ნაკრების არსებობის ისტორიაში, თუ არ ვცდებით, საერთოდ არ ყოფილა მატჩი, რომელშიც ჩვენს ეროვნულ გუნდს აბსოლუტურად ოპტიმალური შემადგენლობით ეთამაშოს.

ასე იქნება მოლდოვასთან მატჩიც, რომელსაც ტრავმის გამო **ჯანო ანანიძე** გამოტოვებს. როგორც იცით, მიზეზი თეძოს კუნთის სპაზმია, რომელიც ჩვენებურმა რუსულ პრემიერლიგაში „ტომთან" მატჩისწინა ვარჯიშზე მიიღო.

არადა, ანანიძე შესანიშნავ ფორმაში იყო. „სპარტაკი" წლეულს ძალიან კარგად თამაშობს, ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტია და ამაში ჯანოს დიდი წვლილიც არის. მოლდოველებმაც იციან ანანიძის ფასი და უფრთხიან კიდეც, თუმცა...

ჯანო ნაკრებთან ერთადაა და აქაური ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობს. ეგაა, **ვლადიმირ ვაისმა** გვითხრა - დიდი სურვილის მიუხედავად, ძალიან მეეჭვება, ანანიძემ მოლდოვასთან მატჩამდე გამოჯანმრთელება შეძლოსო...

მოლდოველთა დანაკლისი

დანაკლისს ვერ ასცდა მეტოქეც. **იგორ დობროვოლსკის** რამდენიმე ფეხბურთელი არ ეყოლება. ამათგან ორს გამოვარჩევთ.

ერთია ცენტრალური მცველი **იგორ არმაში**. ეს ფეხბურთელი კიშინიოვის „ზიმბრუს" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. მან ითამაშა შვედურ „ჰამარბიში", 2010 წლიდან კი კრასნოდარის „ყუბანის" ფეხბურთელი და ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრია.

მოლდოვას თბილისში ვერც 26 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **არტურ იონიცე** დაეხმარება. ისიც გუნდის ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა, „როსტოვის" ნახევარმცველ **ალექსანდრუ გაცკანთან** ერთად.

არმაშის არ იყოს, იონიცაც „ზიმბრუს" აღზრდილია. ის მოლდოვის შემდეგ თამაშობდა შვეიცარიულ „არაუში", რის შემდეგაც იტალიაში გადაბარგდა და იქ „ვერონაში" სერია A-ც დააჭაშნიკა, ამ დროისთვის კი „კალიარიში" თამაშობს.

ტრავმირებული ფეხბურთელების გარდა, მოლდოვის ნაკრებს ჰყავს დისკვალიფიცირებული მოთამაშეებიც - **ანდრეი კოჟოკარი** და **ალექსანდრ დედოვი** (ორივე - „მილსამი").

შემადგენლობას გადახედეთ და დარწმუნდებით - მოლდოვას არ ჰყავს ბევრი ლეგიონერი და, აქედან გამომდინარე, მათთვის თუნდაც ერთი მათგანის გამოკლება უკვე სერიოზულ დანაკლისს წარმოადგენს.

გამორჩეულნი

როგორც ყველა გუნდში, მოლდოვის ნაკრებშიც არიან გამორჩეული ფეხბურთელები. მეკარის პოზიციაზე დიდი კონკურენციაა და, შესაბამისად, დობროვოლსკისაც არჩევანის საშუალება აქვს. საქართველოს ნაკრებთან მატჩს ან „მორდოვიას" კარის დარაჯი **ილია ჩებანუ** დაიწყებს, ანდაც - ბერძნული „ლევადიაკოსის" მეკარე **სტანისლავ ნამაშკო**.

მოლდოვა ბევრ გოლს უშვებს, მაგრამ დაცვაში რამდენიმე გამორჩეული ფეხბურთელი მაინც ჰყავს. ამ რგოლში, უპირველეს ყოვლისა, „ბაშაქშეჰირის" მცველი **ალექსანდრუ ეპურეანუ** უნდა ვახსენოთ. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს ვეტერანი **იგორ გოლოვატენკო**. ეს გამოცდილი უკანახაზელი რუსეთის ჩემპიონატში გატარებული სეზონების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა სათამაშოდ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ ნახევარდაცვის უდავო ლიდერად ითვლება „როსტოვის" შუახაზელი **ალექსანდრუ გაცკანი**, რომელიც ერთადერთია მოლდოვის დღევანდელ ნაკრებში, ჩემპიონთა ლიგაში რომ თამაშობს.

თავდასხმაში უნდა გამოვარჩიოთ **იგორ ბუგაიოვი**, ვისაც ყაზახეთის შედარებით ძლიერ ჩემპიონატში თამაშის გამოცდილება აქვს, და **ეუგენიუ სიდორენკო.** თუმცა აქ გამორჩევა მხოლოდ პირობითია, რადგან მოლდოვას ყველაზე მეტად გოლების გატანა უჭირს.

მთავარი ვარსკვლავი

ალბათ არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ მოლდოვის ნაკრების მთავარი ვარსკვლავი მისი 49 წლის დამრიგებელი **იგორ დობროვოლსკია** - საბჭოთა ფეხბურთის კაშკაშა ვარსკვლავი, რომლის ნიჭის დამფასებელი დღევანდელ საფეხბურთო საქართველოშიც ძალიან ბევრია.

მოსკოვის „დინამოს" ვარსკვლავმა, მას შემდეგ, რაც „რკინის ფარდა" გაიხსნა, ითამაშა შვეიცარიულ „სერვეტში", „ჯენოაში", „მარსელში", „ატლეტიკოსა" და დიუსელდორფის „ფორტუნაში". საბჭოთა კავშირის ნაკრებში დობროვოლსკიმ 25 მატჩი ჩაატარა (7 გოლი), რუსეთის ნაკრების მაისურით გამართულ 18 შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა, ხოლო დსთ-ის (დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა) ნაკრებში - 4 მატჩი (1 გოლი).

დობროვოლსკი მოლდოვის ნაკრებს პირველად 2007-09 წლებში წვრთნიდა. ის გუნდს წლეულს დაუბრუნდა, მანამდე კი რამდენიმე მოლდოვური კლუბი და რუსული „სახალინი" განვრთნა.

სხვათა შორის, დობროვოლსკის განვრთნილი „დაჩია" ჩემპიონთა ლიგიდან თავის დროზე **გია გეგუჩაძის** „ზესტაფონმა" დაითხოვა. მაშინ მოლდოველთა მწვრთნელი მთლად კორექტული ვერ იყო ქართული გუნდის მიმართ, თუმცა ეს უკვე წარსულია.

თემიდა

თბილისურ მატჩს ბულგარელ მსაჯთა ბრიგადა განსჯის. არბიტრად დანიშნულია 30 წლის **გეორგი კაბაკოვი**, ვისთვისაც ეს პირველი სანაკრებო მატჩი იქნება. აქამდე, კაბაკოვი ძირითადად ჭაბუკთა მატჩებს უძღვებოდა. მას დაეხმარებიან **მარტინ მარგარიტოვი** და **მარტინ ვენევი.**

ალეკო კაკაურიძე

ვაისი

ამ ეტაპზე, საქართველოს ნაკრებს არ აქვს ისეთი შედეგი, როგორიც გვინდა, რომ ჰქონდეს, თუმცა ბოლოდროინდელი მატჩები ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

დობროვოლსკი

ფეხბურთი დღეს გარკვეული მიმართულებით მიდის და არც საქართველოა გამონაკლისი. როცა ქართველი ფეხბურთელი ხვდება სხვადასხვა უცხოურ კლუბში, ის ხდება უფრო მეტად დისციპლინირებული, ფიზიკურად უფრო ძლიერი...

მეტოქეები

დანდობა არ იქნება

ავსტრია-ირლანდია 21:00
უელსი-სერბეთი 23:45

საქართველოს ნაკრების შესარჩევ ჯგუფში სხვა მატჩებიც გაიმართება. აქედანვე შეიძლება ითქვას, რომ კარდიფსა და ვენაში მართლაც არ იქნება დანდობა. ჩვენს შესარჩევ ჯგუფში ხომ ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

უელსის ნაკრები საშინაო ასპარეზზე სერბეთს მიიღებს. მასპინძელს ბოლო წამს გამოაკლდნენ ტრავმირებულები - **ბენ დევისი** და **ჯეიმს კოლინზი**, რომლებიც **ადამ მეთიუზმა** და **ჯო უელშმა** ჩაანაცვლეს. სხვა მხრივ, შემადგენლობა საბრძოლოა. ჯანზეა მთავარი ვარსკვლავი - **გარეთ ბეილი,** პლუს ამას, ნაკრებს უბრუნდება „არსენალის" ნახევარმცველი **აარონ რემზი.**

სერბეთს საუკეთესო ფეხბურთელები მწყობრში ჰყავს. **სლავოლიუბ მუსლინის** განვრთნილ გუნდს დააკლდებიან „ქონიასფორის" მცველი **იაგოშ ვუკოვიჩი** და „ბენფიკას" ნახევარმცველი **ლუბომირ ფეიზა.** ორივე შემთხვევაში, მიზეზი ტრავმაა.

ავსტრია ვენაში მიიღებს ირლანდიას. **მარსელ კოლერს** ამ თამაშისთვის თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა ჰყავს. გამონაკლისს წარმოადგენენ „ვერდერის" ერთ-ერთი ლიდერი **ზლატკო იუნუზოვიჩი** და „უოტფორდის" მცველი **სებასტიან პრიოლი**.

ირლანდია კი ავსტრიასთან წარმატებით თამაშს ნაკრებიდან წასულების, **შეი გივენისა** და **რობი კინის** გარეშე შეეცდება. არ იქნებიან ევერტონელი **ჯეიმს მაკარტი** და საუთჰემპტონელი **შეინ ლონგი.**

ალეკო კაკაურიძე

ახალგაზრდული ნაკრები საბურთალოს ვერ გაუმკლავდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები **გია გეგუჩაძის** ხელმძღვანელობით ერთკვირიან შეკრებას რომ მართავს, ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა „საბურთალოსთან“ და 0:2 დამარცხდა.

მატჩი ღია, სანახაობრივ ბრძოლაში წარიმართა. თავდაპირველად, ანგარიშის გახსნის შანსი „საბურთალოს“ მიეცა. გოლის გატანა შეეძლო **გიორგი ბუხაიძეს,** რომელსაც ახალგაზრდულის მცველმა **გიორგი თევზაძემ** შეუშალა ხელი. მომდევნო სახიფათო იერიშისას კი გეგუჩაძის შეგირდები **თევდორე გრიგალაშვილის** დარტყმულზე გადარჩნენ.

საქართველო (ახ)-საბურთალო. ბურთით ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ლუკა ზარანდია
ფოტო gff.ge

პირველი ტაიმის შუაში ორჯერ საიმედოდ ითამაშა „საბურთალოს“ მეკარე **ოთარ გოშაძემ**, რომელმაც **რომან ჭანტურიასა** და **ლუკა იმნაძეს** არ მისცა გატანის საშუალება.

პირველი გოლი 36-ე წუთზე გავიდა - „საბურთალო“ **გიორგი ფანცულაიას** ეფექტური გოლით დაწინაურდა. მეორე ტაიმში მწვრთნელებმა არაერთ ცვლილებას მიმართეს. თავის გამოჩენის შანსი კვლავ საბურთალოელ ფანცულაიას ჰქონდა, თუმცა მის დარტყმულზე ახალგაზრდულის მეკარე **ბექა ქურდაძემ** იყოჩაღა, მერე კი ბურთი ხარიხას მოხვდა.

თუმცა მალევე, იმავე ფანცულაიამ მაინც მოახერხა მეორე გოლის გატანა, ახალგაზრდული ნაკრებიდან კი იმნაძეს, **გიორგი ხარაიშვილსა** და **ჯიმი ტაბიძეს** ჰქონდათ შანსები, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

საქართველო (ახ)-საბურთალო 0:2

0:1 ფანცულაია (37), 0:2 ფანცულაია (56)

საქართველო (ახ): **ქურდაძე, ჩაჩუა (63. ხარაიშვილი), თოლორდავა (63. ტაბიძე), მარგველაშვილი (63. ჭიჭინაძე), თევზაძე, ჩაბრაძე, ზარია, ბარბაქაძე (46. ნადარაია), ბერიძე (46. მამუჩაშვილი), ჭანტურია (63. ზარანდია), იმნაძე.**

საბურთალო: **გოშაძე, იაშვილი, კარასკო, გრიგალაშვილი, ტერა (78. მოლაშვილი), კოხრეიძე (65. ნიკოლეიშვილი), ფანცულაია, სოფრომაძე, რუხაძე (56. გვარაძე), ბუხაიძე, ხუანფრი (65. ივანიაძე).**

ვინ თქვა, სპორტი და პოლიტიკა შორს არიანო?

პელე

ცნობილია, რომ ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში დონალდ ტრამპმა გაიმარჯვა. როგორც ამ დროს არის მიღებული, მასზე ათასგვარი ამბავი ამოქექეს და ბევრი უცნობი თუ კარგად დავიწყებული ამბავი გახდა ცნობილი. არა მხოლოდ ის, რომ პორნოვარსკვლავმა 10 წლის წინანდელი ეგზოტიკური ამბავი გაუხსენა - ჩემი ცდუნება სურდაო.

თუმცა, თავის დროზე, ტრამპი ფეხბურთით იყო გატაცებული და ნიუ-იორკის სამხედრო აკადემიაში თამაშობდა, ოღონდ, რამდენად სერიოზულად - ძნელი სათქმელია. მაგრამ ფეხბურთიდან პოლიტიკაში წასვლა რომ იშვიათი ამბავი არ არის, ესეც ვიცით. მსოფლიოში არსებობს არაერთი მაგალითი, როცა კარიერის დასრულების შემდეგ, ფეხბურთელები პოლიტიკაში მიდიან.

ეს პრაქტიკა უცხო უკვე ჩვენთვისაც აღარ არის. მაგალითად, ახლახან, საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნებიდან“ ორი მაჟორიტარი დეპუტატი ყოფილი ფეხბურთელი იყო - გლდანში ლევან კობიაშვილი აირჩიეს, ხოლო ნაძალადევში - მიხეილ ყაველაშვილი. მანამდე კი ანალოგიური არჩევანი კახა კალაძემ გააკეთა.

ბევრი მსგავსი მაგალითის მოძიება შეიძლება, როცა ფეხბურთელები პოლიტიკაში ან საზოგადო სარბიელზე გამოჩნდნენ და ამ საქმიანობითაც გახდნენ ცნობილები...

შევჩენკო, პელე, რომარიო და სხვები

მაგალითად, **ანდრეი შევჩენკო** ლამის უკრაინის გმირის რანგში იყო და ეტყობა, ამან გაარისკინა, რომ 2012 წელს პოლიტიკაში მისვლა ეცადა. მაგრამ დიდი წარმატებისთვის არ მიუღწევია და ისევ ფეხბურთს დაუბრუნდა, ახლა კი ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელია.

ანდრეი შევჩენკო

მისი წინამორბედი, ევროპის 1975 წლის საუკეთესო ფეხბურთელი **ოლეგ ბლოხინიც** უკრაინის რადას წევრი იყო და ორჯერ აირჩიეს - 1998 და 2002 წლებში. ის ჯერ კომუნისტური პარტიის სიით შევიდა პარლამენტში, ხოლო შემდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაწევრდა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ მე-20 საუკუნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებული (**დიეგო მარადონას** შემდეგ) **პელე** ჟურნალ Time-ის ვერსიით, მსოფლიოს ყველაზე გავლენიან 100 ადამიანს შორის დასახელდა. 1970 წელს პელე ბრაზილიის სამხედრო დიქტატურის სასამართლომ მემარცხენე ძალებისადმი სიმპათიის ბრალდებით დაჰკითხა.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამის მიზეზი პელეს მიერ ხელმოწერილი მანიფესტი გახდა, რომელიც პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლებას მოითხოვდა. მაგრამ მაშინდელ პოლიტიკურ მოვლენებში მონაწილეობა არ მიუღია.

სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ პელე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობას შეუდგა. 1995 წელს, სპორტში გაწეული წვლილისთვის ბრაზილიის ოქროს მედლით დაჯილდოვდა და ქვეყნის პრეზიდენტმა, **ფერნანდუ კარდოზუმ**, ბრაზილიის ახალგაზრდობის, ტურიზმისა და სპორტის მინისტრად დანიშნა. იყო ასევე გაეროსა და UNICEF-ის კეთილი ნების ელჩი. 2012 წელს ედინბურგის უნივერსიტეტისგან მიიღო საპატიო ხარისხი „ჰუმანიტარულ და გარემოს საკითხებში მნიშვნელოვანი წვლილისთვის, ასევე - სპორტული მიღწევებისთვის“.

მინისტრობისას, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში პელემ წარადგინა წინადადება ბრაზილიურ ფეხბურთში კორუფციის შესამცირებლად, რომელიც „პელეს კანონის“ სახელითაა ცნობილი. მან თანამდებობა 2001 წელს დატოვა.

რომარიო

მისი თანამემამულე **რომარიო** იმ იშვიათ ფეხბურთელებს განეკუთვნება, რომელმაც, პელეს მსგავსად, 1000-ზე მეტი გოლი გაიტანა. მსოფლიოს 1994 წლის საუკეთესო მოთამაშემ 2010 წელს პოლიტიკას მიაშურა და ბრაზილიის კონგრესის ქვედა პალატაში შტატ რიო დე ჟანეიროს წარმომადგენელი გახდა. არჩევნებში მას თითქმის 150 ათასმა ადამიანმა დაუჭირა მხარი.

ხალხის ნდობის მიღების შემდეგ, ბრაზილიის სოციალისტური პარტიის წარმომადგენელმა რომარიომ პირობა დადო, რომ შტატში მცხოვრები ბავშვებისა და გაჭირვებული ოჯახების პირობების გასაუმჯობესებლად იბრძოლებდა. თუმცა, როგორც **ოტო ბისმარკი** ამბობდა, ადამიანები ყველაზე მეტს არჩევნების წინ, ომის დროს და ნადირობის შემდეგ იტყუებიან...

პოლიტიკის გამო, ემიგრაციაში

ცნობილი ლიბერიელი ფეხბურთელი **ჟორჟ ვეა** „მონაკოში“, პსჟ-ში, „მილანში“, „ჩელსიში“, „მანჩესტერ სიტისა“ და „მარსელში“ თამაშობდა. განსაკუთრებით კარგად მან თავი იტალიასა და ფრანგულ კლუბებში წარმოაჩინა. 1995 წელს გახდა პირველი არაევროპელი ფეხბურთელი, რომელმაც მოიგო „ოქროს ბურთი“, ფიფა-მ კი მსოფლიოს წლის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

2005 წელს ვეამ კენჭი იყარა ლიბერიის საპრეზიდენტო არჩევნებში, სადაც მეორე ტურში დამარცხდა მომავალ პრეზიდენტ **ელენ ჯონსონ-სირლიფთან**, რომელიც, პირველი ქალი პრეზიდენტი გახდა აფრიკის კონტინენტზე.

ლეგენდარულმა მექსიკელმა ფეხბურთელმა **კუატემოკ ბლანკომ** კარიერა 42 წლის ასაკში დაასრულა. საუკეთესო წლები მან „ამერიკის“ რიგებში გაატარა, რომლის მაისურითაც 153 გოლი გაიტანა. ევროპაში მხოლოდ ესპანური „ვალიადოლიდის“ ღირსება დაუცავს. მექსიკის ეროვნული ნაკრების ფორმა ბლანკომ 1995-2014 წლებში 120-ჯერ მოირგო და სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა (1998, 2002 და 2010 წლებში). 2015 წელს ბუცები ლურსმანზე ჩამოჰკიდა და ფეხბურთიდან პოლიტიკაში წავიდა.

მანუჩარ მაჩაიძე

ჟოან ლაპორტამ დიდი ფეხბურთიდან წასვლა დიდ პოლიტიკაში გადასვლით აღნიშნა. „ბარსელონას“ ყოფილი პრეზიდენტი რეგიონულ არჩევნებზე მისივე პარტიის - „სოლიდარობა კატალონიას“ - სახელით მონაწილეობდა.

ჰაქან შუქურის სახელს უკავშირდება „გალათასარაისა“ და თურქული ფეხბურთის აღმავლობა. ის ამ ქვეყნის ფეხბურთის ლეგენდაა. გატანილი აქვს უსწრაფესი გოლი (მე-11 წამზე) მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში - ეს 2002 წლის მუნდიალზე მოხდა. არის თურქეთის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი. პოლიტიკურ საქმიანობაში კი 2011 წლიდან ჩაერთო, კენჭი იყარა „სამართლიანობის პარტიის“ სახელით და თურქეთის პარლამენტის წევრი გახდა.

თუმცა იქ მხოლოდ 2 წელი დაჰყო. ახლა კი ემიგრაციაშია, რადგან **რეჯებ ტაიპ ერდოღანის** წინააღმდეგ მოწყობილ სამხედრო ამბოხში მონაწილეობას აბრალებენ.

ქართული პოლიტელიტა და ფეხბურთი

ასე რომ, არც **კახა კალაძე** იყო პირველი, ვინც პოლიტიკაში წავიდა, არც კობიაშვილი და არც ყაველაშვილი. საქართველოში მრავალი შემთხვევა ყოფილა, რომ ცნობილი პოლიტიკოსები ფეხბურთთან იკვეთებოდნენ. მაგალითად, წლებია, რაც პოლიტიკაშია **მანუჩარ მაჩაიძე** - თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი.

ლევან გაჩეჩილაძე ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრი იყო. ამავე დროს, ყოფილი კალათბურთელის ღვინის კომპანია GWS რაგბის კავშირის პირველი სერიოზული სპონსორი გახდა და მორაგბეებმა მსოფლიო თასზე პირველად სწორედ მისი თანადგომით გააღწიეს.

▷▷ გაგრძელება მე-5 გვერდზე

ლევან კობიაშვილი

7 სექტემბერი: გვახსოვდეს და... დავივიწყოთ!

მე-2 გვერდიდან

ეგ კი არა, ბევრის აზრით, ზედმეტად შემტევიც და ამის დასტურად იმდროინდელი მართლაც გამორჩეული შემადგენლობის გახსენება გამოდგება: ძირითადში მხოლოდ ორი ნომინალური მცველი (**კახა ცხადაძე, მურთაზ შელია**) გვყავდა, რომელთა გვერდით... შემტევი ნახევარმცველი **გიორგი ნემსაძე** მოქმედებდა.

ნახევარდაცვა ხომ საერთოდ შეტევაზე ორიენტირებული ფეხბურთელებით (ფლანგებზე - **მიხეილ ყაველაშვილი** და **რევაზ არველაძე**, ცენტრში - **გოჩა ჯგამარაული** და **გიორგი ქინქლაძე**) იყო დაკომპლექტებული, თავდასხმაში **შოთა** და **აჩიკო არველაძეები** გახლდნენ გამწესებულნი, რომელთა ოდნავ უკანაც მოქმედებდა **გია გურული**.

თუმცა, ასეთმა ზემემტევმა შემადგენლობამაც ვერ შეძლო და სადებიუტო მატჩი ვერ მოიგო; სამწუხაროდ, იმ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ გამორჩეულ წარმომადგენელს **თემურ ქეცბაიას**, რომელიც იმ დროისათვის ერთ-ერთი იშვიათი ლეგიონერთაგანი გახლდათ (ბერძნულ აეკ-ში გამოდიოდა).

ოფიციალურ მიზეზად, ქეცბაიას ტრავმა დასახელდა, არადა, მის გარდა, ნაკრებში იმ დროისათვის მხოლოს სამი ლეგიონერი იყო: კახა ცხადაძე („აინტრახტი", გერმანია), გია გურული („ლე ავრი", საფრანგეთი) და **გიორგი ჩიხრაძე** („შახტიორი", უკრაინა). ყველა დანარჩენი ფეხბურთელი კი იმ დროისათვის თბილისის „დინამოში" გამოდიოდა...

...ის შესარჩევი ციკლი მოლდოველებთან დავიწყეთ და მოლდოველებთან დავამთავრეთ, თუმცა კიშინიოვში გამართულ იმ მატჩს აღარანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა და რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელის გარეშე მოასპარეზე საქართველოს ნაკრები 2:3 დამარცხდა. სხვათა შორის, საქართველოს ნაკრები კაპიტნის სამკლავურით პირველად გამოიყვანა თემურ ქეცბაიამ.

რევანში

პირველმა შესარჩევმა ციკლმა ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს სრულიად საფუძვლიანი იმედი გაუჩინა: სადებიუტო ციკლში ხომ მხოლოდ გერმანიასა და იმ დროისათვის მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს, ბულგარეთის ნაკრებს ჩამოვრჩით.

თუმცა, ჩვენთვის რიგით მეორე ციკლში არანაკლებ ძლიერები მეტოქეები (იტალია, ინგლისი, პოლონეთი) შეგვხვდა. კიდევ ერთ მეტოქედ კი კვლავაც მოლდოვა გვერგო და სწორედ მაშინ შევძელით კიდეც სრულფასოვანი რევანშის აღება. ოლონდ, ის ციკლი წარუმატებლად დავიწყეთ: იმის გამო, რომ იტალიასთან (სტუმრად) და ინგლისთან (შინ) დავმარცხდით, **ალექსანდრე ჩივაძეს** ნაკრების თავკაცის პოსტიდან წასვლამ მოუწია.

სამწუხაროდ, ახალ მწვრთნელს, **დავით ყიფიანს** სადებიუტო მატჩი ინგლისთან, სტუმრად, „უემბლიზე" ჰქონდა და სასწაულიც არ მოხდა (0:2 წავაგეთ); აი, მომდევნო შეხვედრაში კი, როგორც იქნა, ნანატრი გამარჯვებაც მოვიპოვეთ: ბათუმში, თითქმის ოპტიმალური შემადგენლობით (მხოლოდ **მურთაზ შელია** გვაკლდა) მოასპარეზე საქართველოს ნაკრებმა **შოთა არველაძისა** და **გიორგი ქინქლაძის** გოლებით 2:0 მოვუგეთ მოლდოვას.

ეს მატჩი იმითაც იყო დასამახსოვრებელი, რომ პირველად და უკანასკნელად მოხდა, როცა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ოფიციალური მატჩი სხვა ქალაქში ჩაატარა; თანაც, ნაკრებში დებიუტი ჰქონდა **ზაზა ჯანაშიას**.

ის ციკლი მშვენიერი, სამმატჩიანი სერიით დავასრულეთ: იტალიასთან თბილისში ფრედ ვითამაშეთ (**კახა კალაძისა** და **ნიკა ტოგონინძის** ბენეფისად რომ იქცა), მერე კი ზედიზედ ორი შეხვედრა მოვუგეთ მოლდოვას (სტუმრად) და პოლონეთს (შინ). აღსანიშნავია, რომ მოლდოველებთან მატჩის წინ დავით ყიფიანს სერიოზული საკადრო პრობლემები შეექმნა და ძირითადი შემადგენლობის სამი საკვანძო ფეხბურთელი მოისაკლისა - **შოთა არველაძე, კახა ცხადაძე, ლევან კობიაშვილი**.

არც მურთაზ შელია და **გოჩა ჯგამარაული** იყვნენ 100-პროცენტით მზად და მხოლოდ შეცვლაზე შემოვიდნენ. აღსანიშნავია, რომ ჩვენებმა ის შეხვედრა 9 (!) ფეხბურთელით დაამთავრეს, მასპინძლებმა კი - 10 ფეხბურთელით: არბიტრმა ჯერ კახა კალაძე გააძევა, მერე კი ორივე გუნდის ლიდერებს, **ალექსანდრ კურტეანუსა** და გიორგი ქინქლაძეს დაატოვებინა მოედანი!

ამის მიუხედავად, მაინც შევძელით ერთბურთიანი უპირატესობის შენარჩუნება იმ მატჩში, სადაც კაპინის სამკლავურით პირველად გამოიყვანა საქართველოს ნაკრები **გიორგი ნემსაძემ**...

ყველა დაპირისპირება

ამხანაგური მატჩი

მოლდოვა-საქართველო 2:4

02.07.1991. კიშინიოვი. რესპუბლიკური. 7 000 მაყურებელი

0:1 ქეცბაია (5), 0:2 დარასელია (18), 1:2 სპირიდონი (27), 2:2 ხარია (50), 2:3 მ. ჯიშკარიანი (79), 2:4 ყაველაშვილი (88)

საქართველო: **ჩხეიძე - კუდინოვი, ცხადაძე, შელია, გ. ჯიშკარიანი - ცომაია, გ. კილასონია - ბიგვავა (59. მ. ჯიშკარიანი), გ. დარასელია, ქეცბაია - ყინოლაშვილი (65. ყაველაშვილი).**

კაპიტანი: **კახა ცხადაძე**
მწვრთნელი: **გიგა ნორაკიძე**

ევროპის ჩემპიონატი

საქართველო-მოლდოვა 0:1

07.09.1994. თბილისი. ბ. პაიჭაძე. 55 000 მაყურებელი

0:1 ოპრია (40)

საქართველო: **ზოიძე - ნემსაძე, ცხადაძე, შელია - ყაველაშვილი, ჯგამარაული, ქინქლაძე, რ. არველაძე (69. ზ. რევიშვილი) - გ. გურული (46. ინალიშვილი) - ა. არველაძე, შ. არველაძე.**

კაპიტანი: **კახა ცხადაძე**
მწვრთნელი: **ალექსანდრე ჩივაძე**

ევროპის ჩემპიონატი

მოლდოვა-საქართველო 3:2

15.11.1995. კიშინიოვი. რესპუბლიკური. 8 000 მაყურებელი

1:0 ტესტიმიცანუ (5-პენ), 2:0 მიტერევი (18), 2:1 დ. ჯანაშია (68), 3:1 მიტერევი (73), 3:2 კულიბაბა (81-საკ. კარში)

საქართველო: **ზოიძე - ლუდუშაური (56. დ. ჯანაშია), კუდინოვი, ბერაძე, ჩიხრაძე - გოგიჩაიშვილი, ცქიტიშვილი, ჯგამარაული (62. მაჭავარიანი), ქეცბაია - ქინქლაძე - შ. არველაძე.**

კაპიტანი: **თემურ ქეცბაია**
მწვრთნელი: **ალექსანდრე ჩივაძე**

მსოფლიოს ჩემპიონატი

საქართველო-მოლდოვა 2:0

07.06.1997. ბათუმი. ცენტრალური. 12 000 მაყურებელი

1:0 შ. არველაძე (28), 2:0 ქინქლაძე (51-პენ)

საქართველო: **ზოიძე - ნ. ლობჟანიძე, ცხადაძე, ჩიხრაძე, კობიაშვილი - გოგიჩაიშვილი, ნემსაძე (80. ა. არველაძე), ჯგამარაული (66. კიკნაძე), ქეცბაია (84. ზ. ჯანაშია) - ქინქლაძე - შ. არველაძე.**

კაპიტანი: **კახა ცხადაძე**
მწვრთნელი: **დავით ყიფიანი**

მსოფლიოს ჩემპიონატი

მოლდოვა-საქართველო 0:1

24.09.1997. კიშინიოვი. რესპუბლიკური. 9 000 მაყურებელი

0:1 ქეცბაია (10)

საქართველო: **ტოგონიძე - ნ. ლობჟანიძე, შეყილაძე, კალაძე, ჩიხრაძე - ქეცბაია, ნემსაძე, ქინქლაძე, გახოკიძე (88. ჯამარაული) - ყაველაშვილი (82. შელია), ა. არველაძე (66. გუჩუა).**

კაპიტანი: **გიორგი ნემსაძე**
მწვრთნელი: **დავით ყიფიანი**

ამხანაგური მატჩი

საქართველო-მოლდოვა 2:2

12.02.2003. თბილისი. ლოკომოტივი. 7 000 მაურებელი

1:0 ჩალაძე (61), 1:1 დადუ (75), 2:1 აშვეთია (83), 2:2 დადუ (84–პენ)

საქართველო: **ლომაია (46. ნიკურაძე) - აბრამიძე (64. ქემოკლიძე), შაშიაშვილი, ამისულაშვილი, სახვაძე - დიდავა (46. მენთეშაშვილი), გოგობერიშვილი - აფსაზავა (46. ჩალაძე), მ. ჯიქია (46. კვარაცხელია), დ. მუჯირი (46. ვ. დარასელია) - ალექსიძე (46. აშვეთია).**

კაპიტანი: **გიორგი შაშიაშვილი**
მწვრთნელი: **ალექსანდრე ჩივაძე**

ამხანაგური მატჩი

მოლდოვა-საქართველო 1:0

18.08.2004. ტირასპოლი. ცენტრალური. 8 500 მაყურებელი

1:0 მიტერევი (67)

საქართველო: **ლომაია - მუჟავანაძე, ხიზანიშვილი, კალაძე, კობიაშვილი (79. აფციაური) - კვარაცხელია, ცქიტიშვილი (46. დ. მუჯირი) - ბურდული, ჯგამარაული, ა. იაშვილი (46. ჯაკობია) - დემეტრაძე (61. ალექსიძე).**

კაპიტანი: **კახა კალაძე**
მწვრთნელი: **ალენ ჟირესი**

ამხანაგური მატჩი

მოლდოვა(ახ)-საქართველო 5:1

27.02.2006. ლა ვალეტა. ტა ქალი. 100 მაურებელი

1:0 ზისლისი (5), 2:0 ზისლისი (13), 2:1 ცქიტიშვილი (18-პენ), 3:1 ალექსეევი (48), ნამაშკო (59-პენ), 5:1 გოლოვატენკო (71)

საქართველო: **თევდორაძე - ბენაშვილი (60. მჭედლიშვილი), ხიზანიშვილი, ასათიანი, ღვინიანიძე - კ. მახარაძე, კანკავა (46. კობიაშვილი) - გ. ჭელიძე (65. რ. გოცირიძე), ცქიტიშვილი, დ. მუჯირი - ბ. გოცირიძე (46. მარცვალაძე).**

კაპიტანი: **მალხაზ ასათიანი**
მწვრთნელი: **კლაუს ტოპმიოლერი**

ამხანაგური მატჩი

საქართველო-მოლდოვა 1:2

06.06.2009. თბილისი. მიხეილ მესხი. 8 000 მაყურებელი

0:1 სოფრონი (7), 0:2 გოლოვატენკო (57), 1:2 ხიზანიშვილი (85)

საქართველო: **ლომაია - შაშიაშვილი, კვახაძე, ხიზანიშვილი, გ. ფოფხაძე - დაუშვილი (77. ყენია), კობიაშვილი (70. რაზმაძე), დ. კვირკველია (60. მერებაშვილი) - ა. იაშვილი, ბ. გოცირიძე (27. სეთურიძე) - ალექსიძე (63. დვალიშვილი).**

კაპიტანი: **ლევან კობიაშვილი**
მწვრთნელი: **ექტორ კუპერი**

ამხანაგური მატჩი

მოლდოვა-საქართველო 0:0

11.08.2010. კიშინიოვი. ზიმბრუ. 6 000 მაყურებელი

საქართველო: **ლორია - უ. ლობჟანიძე, ამისულაშვილი (46. დ. კვირკველია), ასათიანი (69. სალუქვაძე), კალაძე - ხიზანიშვილი, გოგუა (64. აფციაური) - ა. იაშვილი (46. გელაშვილი), სირაძე (56. მერებაშვილი), კობიაშვილი - დვალიშვილი (78. კოშკაძე).**

კაპიტანი: **კახა კალაძე**
მწვრთნელი: **თემურ ქეცბაია**

ამხანაგური მატჩი

საქართველო-მოლდოვა 2:0

11.11.2011. თბილისი. მიხეილ მესხი. 4 000 მაურებელი

1:0 კობახიძე (36), 2:0 ანანიძე (39-პენ)

საქართველო: **ლორია - გ. კაშია, ამისულაშვილი, ხუბუტია (86. შ. გრიგალაშვილი), გრიგალავა - ხიზანიშვილი (86. ჯანელიძე), მაისურაძე (53. განუგრავა) - გელაშვილი (64. ს. გურული), ანანიძე (58. გორგიაშვილი), კობახიძე - დვალიშვილი (56. მოდებაძე).**

კაპიტანი: **ზურაბ ხიზანიშვილი**
მწვრთნელი: **თემურ ქეცბაია**

გია ტუხაშვილი

ფოტოების ჟურნალ „დებიუტიდან"

ვინ თქვა, სპორტი და პოლიტიკა შორს არიანო?

მე-4 გვერდიდან

ასევე ფედერაციის აღმასკომის წევრი იყო **დავით გამყრელიძე** და ერთი ხანობა, მისი სადაზღვევო კომპანია „ალდაგი" სფფ-ის სპონსორიც გახლდათ. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ყოფილი წევრია **გოგა ხაინდრავაც**, ხოლო **ბეჟან გუნავა** ზუგდიდის „ოდიშის" ყოფილი პრეზიდენტი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფედერაციის ექსთავკაცი იყო.

რესპუბლიკური პარტიის დამფუძნებელი **ლევან ბერძენიშვილი** ტელეკომპანია „იმედზე" გადაცემა „გოლის" წამყვანი გახლდათ. მისი ყოფილი თანაპარტიელი, ყოფილი სახელმწიფო მინისტრი **პაატა ზაქარეიშვილი** კი ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელია.

ჰაქან შუქური

„ქართული ოცნების" წევრი **დავით ლორთქიფანიძე** - ვანის საფეხბურთო კლუბის ყოფილი სპონსორი, ფეხბურთის ტურნირების ორგანიზატორი, თავადაც ფეხბურთელი იყო და ვანის „სულორისა" და ქუთაისის „ტორპედოს" ნახევარმცველი გახლდათ.

„მრეწველი" **გოგი თოფაძე** - საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის ექს პრეზიდენტი, სპორტის ზამთრის სახეობების პრეზიდენტი, პროფესიული ფეხბურთის ლიგისა და **ნოდარ ახალკაცის** დროინდელი თბილისის „დინამოს" სპონსორი (რა თქმა უნდა, არაოფიციალური) იყო.

ფეხბურთის უდიდესი მოყვარულია საქართველოს კომპარტიის ყოფილი შეფი **ჯუმბერ პატიაშვილი**.

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ხელახლა დაარსდა საფეხბურთო კლუბი „შევარდენი 1906", რაც „ტრადიციონალისტი" **აკაკი ასათიანის** დამსახურება გახლდათ. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე ფეხბურთის უდიდესი გულშემატკივარი და „შევარდენი 1906-ის" პირველი საპატიო პრეზიდენტი.

პარლამენტის მომავალი თავმჯდომარეც ფეხბურთთან იყო შეხებაში - „ქართული ოცნების" აღმასრულებელი მდივანი **ირაკლი კობახიძე** საფეხბურთო გაზეთ „11X11-ის" ჟურნალისტი გახლდათ.

გვახსოვს ყველაზე სპორტული პარტიაც - 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობდა „საქართველოს სპორტსმენთა კავშირი", რომელშიც თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელები - **გია ფირცხალავა, ნუკრი კაკილაშვილი, ლევან ბარათაშვილი, ოთარ კორღალიძე, გურამ ვასაძე,** აგრეთვე, ჭიდაობაში ცნობილი მსაჯი - **ედიშერ მაჩაიძე** გაწევრდნენ.

მაშ, ვინ თქვა, სპორტი და პოლიტიკა შორს არიანო?

მერაბ მამულაშვილი

ამბები

ყრილობის თარიღი გარკვეულია

9 ნოემბერს თბილისის ფეხბურთის ფედერაციის (თბფფ) აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის ფეხბურთის ფედერაციის რიგით IX საარჩევნო ყრილობა 2016 წლის 19 დეკემბერს, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდეს. აღმასკომმა ყრილობის ჩატარება და საორგანიზაციო საკითხების მოგვარება თბფფ-ის გენერალურ მდივანს, **გია ძამუკაშვილს** დაავალა.

საარჩევნო ყრილობის დელეგატების დასახელებისა და თბფფ-ში მათი რეგისტრაციის საბოლოო ვადა 2016 წლის 28 ნოემბერია. ხოლო თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატების რეგისტრაცია 2016 წლის 10-დან 28 ნოემბრის ჩათვლით იქნება შესაძლებელი.

შუკერმა სიტყვა შეასრულა

გეხსომებათ, 2 ივლისს, თბილისში, ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **დავორ შუკერი** იმყოფებოდა და „ფონდი არველაძის" ხელმძღვანელებს - **რევაზ არველაძესა** და **დიმიტრი ბოკერიას** შეხვდა. სწორედ ამ შეხვედრისას გადაწყდა, რომ ხორვატიის ფეხბურთის ფედერაცია ფონდს პერიოდულად საფეხბურთო ინვენტარით, ფორმებითა და ბურთებით დაეხმარებოდა.

შუკერმა სიტყვა შეასრულა: „ფონდი არველაძის" ცნობით, 10 ნოემბერს, თბილისის მე-200 სკოლა-პანსიონში, **არჩილ არველაძემ** და დიმიტრი ბოკერიამ სკოლის მოსწავლეებს ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციის მიერ გამოგზავნილი სავარჯიშო, სათამაშო ფორმები და ბურთები გადასცეს.

მერაბ მამულაშვილი

ELVA.GE
გამოიწერეთ გაზეთი ღელო
და ისარგებლეთ ადგილზე მიტანის
უფასო მომსახურებით
დაგვიკავშირდით:
2 38 26 73; 2 38 26 74
ELVA.GE წიგნების და პრესის ხელმოწერის კომპანია

ამ სეზონში ლიგის საგზური, მერე...

როგორი იქნება სტეფანო პიოლის ინტერი?

მილანის „ინტერის“ ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს - სტეფანო პიოლი. 51 წლის იტალიელმა სპეციალისტმა ფრანკ დე ბური შეცვალა, რომლის თავკაცობითაც, მილანური გრანდი კრიზისში ჩაეფლო და სერია A-ს სატურნირო ცხრილში მხოლოდ მე-9 ადგილი უკავია. გუშინ მილანში პიოლის პრეზენტაცია გაიმართა...

დიდი გამოწვევა

ბედნიერი ვარ, რადგან მოვხვდი გუნდში, რომელსაც ღრმა წარსულიდან ვგულშემატკივრობ. სადაც უნდა წამიყვანოს ცხოვრებამ, „ინტერის“ სიყვარული მუდამ ჩემთან იქნება და ასეა უკვე წლებია. მთელი ჩემი ოჯახი „ინტერის“ გულშემატკივარია და ბედნიერები არიან, რომ დღეს ამ გუნდის მწვრთნელი ვარ. ესაა ჩემი უდიდესი გამოწვევა, რომელიც დიდი სიამოვნებით მივიღე. მოტივირებული ვარ და ახალ საქმეს ენთუზიაზმით შევუდექი. როდესაც „ინტერიდან“ წინადადება მივიღე, წუთითაც არ დავფიქრებულვარ. ახალ ატმოსფეროში მოვხვდი, ბევრი ახალი ადამიანი გავიცანი, წინ კი მუხლჩაუხრელი შრომა გველის, რომელიც აუცილებლად გამოიღებს შედეგს.

რთული მისია

პირდაპირ ვთქვათ, რომ „ინტერი“ ცუდ ფეხბურთს თამაშობს და შედეგებიც შესაბამისია. „ნერაძურის“ სკუდეტოსთვის ბრძოლას უწინასწარმეტყველებდნენ და ამ დროს, ცხრილის შუაგულშია გაჭედილი. ვითარება უსწრაფესად უნდა გამოვასწოროთ და ეს კარგად მაქვს გააზრებული. მისია რთულია, მაგრამ აქ სწორედ იმისთვის ვარ, რომ მძიმე მისიებს შევეჭიდო. ჩვენი მიზანი მიმდინარე სეზონში? - ვფიქრობ, რომ „ინტერს“ შეუძლია ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვედრა და ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ. მართალია, ბევრი ქულაა დაკარგული, მაგრამ წინ კიდევ უამრავი ტურია და ვითარების გამოსწორება შესაძლებელია.

ახალი ინტერი

როგორი იქნება ახალი „ინტერი“? - კარგად ვიცნობ „ინტერის“ ფეხბურთელებს და ვიცი მათი შესაძლებლობები. ამიტომ, მაქვს ტაქტიკურ-სტრატეგიული მონახაზები, რომელსაც პირველივე შეხვედრიდან გამოვიყენებ. თუმცა, დღეს ამაზე ლაპარაკი საფუძველს მოკლებულია. „ინტერი“ თანაბრად ძლიერი უნდა იყოს ყველა რგოლში და შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიპოვოთ ბალანსი. გვყავს ფეხბურთელები, რომლებსაც გაცილებით მეტი შეუძლიათ, ვიდრე აქამდე აჩვენებდნენ და მათ სწორი მიმართულების მიცემა სჭირდებათ.

მილანური დერბი

მილანური დერბი დიდი მატჩია, რომელსაც გულშემატკივრები განსაკუთრებულად ელოდებიან. „მილანის“ დამარცხება საქმის იდეალური დასაწყისი იქნება, რადგან ეს იმ მუხტს და ენერგიას მოგვცემს, რომელიც კრიზისის სწრაფად დაძლევაში დაგვეხმარება. უნდა შევუტიოთ და ვეცადოთ, რომ მეტოქეს ჩვენი თამაში მოვახვიოთ თავს. „მილანი“ სამეულშია, კარგ ფეხბურთს თამაშობს და დიდი ბრძოლისთვის ვემზადებით.

> **ბედნიერი ვარ, რადგან მოვხვდი გუნდში, რომელსაც ღრმა წარსულიდან ვგულშემატკივრობ. სადაც უნდა წამიყვანოს ცხოვრებამ, „ინტერის“ სიყვარული მუდამ ჩემთან იქნება**

სამუელი პიოლის თანაშემწედ

სტეფანო პიოლის ერთ-ერთი თანაშემწე „ინტერის“ ექსფეხბურთელი **ვალტერ სამუელი** იქნება, რომელსაც ზედმეტი წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება. არგენტინელმა მცველმა მილანური გრანდის შემადგენლობაში 9 წელი გაატარა და ამ პერიოდში, 169 მატჩი გამართა. ბოლოს, სამუელი შვეიცარიულ „ბაზელში“ ასპარეზობდა, თუმცა გასულ ზაფხულს ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. სამუელმა მოკლე კომენტარი გააკეთა და შემდეგი განაცხადა:

„სტეფანო პიოლი ბრწყინვალე სოევიალისტია და მასთან მუშაობა ჩემთვის საამაყოა. ბედნიერი ვარ, რომ ვბრუნდები გუნდში, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გავატარე. „ინტერთან“ ბევრი კარგი მოგონება მაკავშირებს და მახარებს ის ფაქტი, რომ ეს ისტორია გრძელდება. „ინტერს“ შეუძლია ძველი დიდების დაბრუნება და ჩვენ ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ“.

გაბიგოლი ემპოლიში?

გასულ ზაფხულს, „ინტერმა“ დიდი აჟიოტაჟის ფონზე **გაბრიელ ბარბოსა**, იგივე გაბიგოლი დაიმატა, თუმცა 20 წლის ბრაზილიელი ჯერ-ჯერობით ვერ ამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს. გაბიგოლს არ ეძლევა სათამაშო დრო, რადგან ცუდ ფორმაშია და ვარჯიშებზეც მოიკოჭლებს.

იტალიურ სპორტულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დიდი შანსია, რომ ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას, „ინტერმა“ გაბრიელ ბარბოსა იჯარის წესით „ემპოლიში“ გაუშვას. ტოსკანელებს თავდამსხმელის დამატება სურთ, გაბიგოლს კი სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რომ იტალიურ ფეხბურთის შეეჩვიოს. მოლაპარაკება დაწყებულია და დიდი ალბათობით, შეთანხმებით დასრულდება.

ლაშა წიკლაური

„ინტერის“ ახალი მთავარი მწვრთნელი სტეფანო პიოლი

ამბები

ლეონარდო ბონუჩი

ბონუჩი წასვლაზე არ ფიქრობს

ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა **ლეონარდო ბონუჩის** „მანჩესტერ სიტიში“ შესაძლო გადაბარგება იყო. ინგლისელები 29 წლის მცველის სანაცვლოდ „იუვენტუსს“ 60 მილიონ ევროს სთავაზობდნენ, მაგრამ გარიგება არ შედგა და ბონუჩი „იუვენტუსში“ დარჩა. შემდეგ, ისიც დაიწერა, რომ ლეონარდო თავად შეეხმიანა მანჩესტერელებს და მათთან მოლაპარაკების სურვილი გამოთქვა. დღესაც არ წყდება ხმები ბონუჩის ინგლისში შესაძლო გადაბარგების შესახებ, თუმცა ამჯერად უფრო „ჩელსის“ ვარიანტია წინა პლანზე წამოწეული. ლეონარდომ ამ თემაზე საგანგებო კომენტარი გააკეთა:

„ტურინის „იუვენტუსთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას 2021 წლამდე ვაპირებ და შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ არსად წასვლა არ მსურს. ცნობები იმის შესახებ, რომ „მანჩესტერ სიტის“ მე თვითონ შევეხმიანე, სრული სისულელეა. სიმართლე გითხრათ, არც ჩემთვის დაურეკავს ვინმეს ინგლისიდან. ტურინში თავს ბედნიერად ვგრძნობ და დიდი იმედი მაქვს, რომ „იუვენტუსთან“ ერთად, კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევ“.

სალაჰი: დადგა დრო, რამე მოვიგოთ

სერია A-ს ბოლო ტურში, „რომამ“ „ბოლონია“ სამი უპასუხო გოლით დაამარცხა და სამივე შედეგიანი დარტყმა **მოჰამედ სალაჰმა** შეასრულა. 24 წლის ეგვიპტელი შესანიშნავ ფორმაშია და **ედინ ჯეკოსთან** ერთად, ყველაზე სახიფათოა „რომას“ შემტევებს შორის. სალაჰმა ჟურნალისტებთან საუბარში იმედი გამოთქვა, რომ მიმდინარე სეზონში, „რომა“ ერთ ტროფეის მაინც მოიგებს:

მოჰამედ სალაჰი

„შესანიშნავი გრძნობაა, როდესაც სამ გოლს იტან და გუნდის გამარჯვებაში შენი წვლილი შეგაქვს. „ბოლონიასთან“ მთელმა გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და გამონაკლისი არც მე ვიყავი. იგებს გუნდი და არა ერთი კონკრეტული ფეხბურთელი. სწორი გზით მივდივართ და ასევე უნდა გავაგრძელოთ. ვფიქრობ, „იუვენტუსს“ ბევრი არაფრით ჩამოვუვარდებით და შეგვწევს იმის ძალა, რომ სკუდეტოსთვის ვიბრძოლოთ. ტურინელებს მხოლოდ 4 ქულით ჩამოვრჩებით, „ნაპოლის“ კი 5 ქულით ვუსწრებთ, რაც კარგი შედეგია. დადგა დრო, რომ რამე მოვიგოთ და გულშემატკივრები გავახაროთ. „რომას“ აქვს იმის რესურსი, რომ წარმატებული იყოს როგორც შიდა ასპარეზზე, ისე საერთაშორისო სარბიელზე“.

ლაშა წიკლაური

პერესმა დიბალა გულში ამოიჭრა

მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** გადაწყვიტა, რომ რადაც უნდა დაუჯდეს, გუნდში **პაულო დიბალა** გადაიყვანოს. „მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, პერესმა თავის გარემოცვას უთხრა, რომ დიბალაში მომავალ **მესის** ხედავს და ამ შანსის ხელიდან გაშვებას არ აპირებს. დიბალა ადრეც ყოფილა „რეალის“ ინტერესის სფეროში, თუმცა ის ბურთს ჯერჯერობით, „იუვენტუსისთვის“ აგორებს. გეტყვით, რომ ახლახან **კარლო ანჩელოტიმ ნეიმარი** და დიბალა, მომავლის **რონალდოდ** და მესიდ მონათლა.

რონალდო შეიძლება ბარსელონაში გადასულიყო

„ო ჟოგოს“ ინფორმაციით, **კრიშტიანო რონალდომ** აღიარა, რომ მისით „ბარსელონა“ ინტერესდებოდა. ეს მაშინ იყო, როცა მადეირელი ლისაბონის „სპორტინგში“ თამაშობდა (2002-03). *„მაშინ ჩემით „ბარსელონა“, „არსენალი“, „ინტერი“ და „ვალენსია“ დაინტერესდნენ. მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ იმით მომხიბლა, რომ თავად სერ ალექს ფერგიუსონი დამელაპარაკა“*, - იხსენებს რონალდო.

11 მილიონი შვაინშტაიგერს

„სპორტ ბილდის“ ინფორმაციით, „მანჩესტერი“ **ბასტიან შვაინშტაიგერს** კონტრაქტის ნაადრევად გაწყვეტის სანაცვლოდ 11 მილიონ ევროს შესთავაზებს. 32 წლის გერმანელს „მანჩესტერთან“ ხელშეკრულება 2018 წლამდე აქვს და იქამდე მისი შემოსავალი ჯამში 18 მილიონი ევრო იქნება. თუ მხარეები მოილაპარაკებენ, შვაინშტაიგერი თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს, ხოლო „მანჩესტერი“ 7 მილიონს დაზოგავს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

სერხიო აგუერო „რეალში“ წასვლას უარყოფს

პრემიერლიგა

იანვარიც მალე მოვა

ინგლისური კლუბები ახალი ტრანსფერებისთვის ემზადებიან

იანვრის სატრანსფერო ფანჯარა ახლოვდება, ინგლისურ მედიაში კი კარგა ხანია, დაიწყო სპეკულაცია სამომავლო ტრანსფერების შესახებ.

ჩელსი

ლონდონის „ჩელსი“ **მარკო ვერატისთვის** ბრძოლაში ფავორიტია. 24 წლის იტალიელმა ნახევარმცველმა შესაძლოა, „პარი სენ-ჟერმენი“ დატოვოს. **ანტონიო კონტე** მას „სტემფორდ ბრიჯზე“ ეპატიჟება. ვერატის შეძენით იტალიური გრანდები „იუვენტუსი“, „ინტერი“ და „მილანიც“ დაინტერესებულნი არიან, მაგრამ „ჩელსიზე“ სარფიანი წინადადების შეთავაზება იტალიელებს გაუჭირდებათ. ვნახოთ, რას მოიფიქრებს თავად ფეხბურთელიც. ამასობაში, „ჩელსი“ მზად არის **სესკ ფაბრეგასის** მსურველებისგან წინადადებები მოისმინოს. ესპანელს ევროპაში სურს დარჩენა და მისთვის აზიური ვარიანტი გამოირიცხა.

კონტე დაცვის გაძლიერებასაც აპირებს და ოთხკაციანი სიაც შეუმუშავებია. პირველ ადგილზე რომ „იუვენტუსის“ 29 წლის უკანახაზელი **ლეონარდო ბონუჩია**, ყველას მოეხსენება. გარდა ამისა, „შორთლისტში“ შევხვდებით „მილანის“ 21 წლის ტალანტ **ალესიო რომანიოლის**, „რომას“ 23 წლის მცველ **ანტონიო რუდიგერსა** და ასევე 23 წლის **მაიკლ კინს**, რომელსაც „ბარნლიში“ აქვს პროგრესი.

ევერტონი

მემფის დეპაიმ კარიერა შესაძლოა, „ევერტონში“ გააგრძელოს. 22 წლის ჰოლანდიელი არათუ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძირითადში, არამედ გუნდის განაცხადშიც ველარ ხვდება და ფაქტია, რომ **ჟოზე მოურინიო** მასზე დიდ იმედებს არ ამყარებს. „კანფეტებს“ კი იანვარში დეპაის იჯარით აყვანა უნდათ, ზაფხულში გამოსყიდვის პერსპექტივით. ამ მიმართულებით მუშაობა მერსისაიდელებს უკვე დაუწყიათ.

„ევერტონის“ მთავარმა მწვრთნელმა **რონალდ კუმანმა** განაცხადა, რომ **რომელუ ლუკაკუს** მასშტაბები და ამბიციები იმაზე დიდია, ვიდრე კლუბის და თუ ბელგიელს პოტენციალის სრულად გამოვლენა სურს, ერთ დღესაც გუნდი უნდა დატოვოსო.... შესაძლოა, ეს განცხადება ობიექტურია და ბევრი დავეთანხმოთ, მაგრამ რამდენად მოეწონებათ ის მერსისაიდელთა ფანებს? სავარაუდოდ, დიდად კმაყოფილი არც უფროსობა დარჩება, რომელიც ლუკაკუს ახალ გრძელვადიან კონტრაქტს სთავაზობს, რათა 23 წლის ბელგიელი დიდი ხნით დაიბევოს, ან მერე კოლოსალურ თანხად გაყიდოს. *„მე მას მივეცი გარანტია, რომ ამ წუთისთვის „ევერტონში“ დარჩენა მისთვის საუკეთესო ვარიანტი იქნებოდა. თუმცა რა მოხდება მომავალ ზაფხულს, არავინ იცის“* - განაცხადა 53 წლის კუმანმა.

ლუკაკუ „კანფეტებმა“ 2014 წლის ზაფხულში 28 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ გამოისყიდეს, ეს კლუბის სარეკორდო ტრანსფერია. მოქმედი შეთანხმებით ლუკაკუ ლივერპულურ კლუბთან 2019 წლის ივნისამდეა დაკავშირებული. მას „ევერტონის“ მაისურით 68 გოლი აქვს გატანილი 137 შეხვედრაში. პრემიერლიგაში დაგროვილი 50 გოლით კი იგი „გუდისონ პარკის“ ბინადართა მესამე ბომბარდირია **ტიმ კეჰილისა** (56) და **დანკან ფერგიუსონის** (60) შემდეგ, რომლებსაც სავარაუდოდ ,ამ სეზონში გადაასწრებს.

ლივერპული

„ლივერპული“ **კრისტიან პულიშიჩს** არ ეშვება და როგორც გერმანულ-ინგლისური მედია წერს, მერსისაიდელები 18 წლის ამერიკელის შეძენას იანვარშივე შეეცდებიან. „ენფილდის“ მკვიდრები ამის გაკეთებას ზაფხულშიც ფიქრობდნენ და „დორტმუნდს“ 12,5 მილიონი ევროც შესთავაზეს, მაგრამ ბორუსიელებმა ყოფილი თავკაცი **იურგენ კლოპი** უარით გაისტუმრეს. გერმანულ გუნდში მართლაც უამრავმა ახალგაზრდა ტალანტმა მოიყარა თავი და პულიშიჩი ერთ-ერთი გამორჩეულია, „კლოპომ“ ეს ძალიან კარგად იცის და ყველანაირად ცდილობს ამ ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას. როგორც ამბობენ, „ლივერპული“ მზად არის ზამთარში 30 მილიონი ევროც კი გადაიხადოს. მიმდინარე ბუნდესლიგაში პულიშიჩმა 8 მატჩი ჩაატარა, 2 გოლი გაიტანა და 4 საგოლე გადაცემა გააკეთა. ეს ფეხბურთელი აქო და ადიდა ამერიკის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა**:

„პულიშიჩი საოცრად ნიჭიერია, ამას ადრეც ვამბობდი. თანაც მან საკუთარი თავი გააკონტროლა და სადავეები ხელში აიღო, ბევრს მუშაობს და პროგრესიც სახეზეა. ამერიკაში იშვიათად შეხვდებით ამ ასაკში ასეთ ჩამოყალიბებულ და განსწავლულ მოთამაშეს. მისი პოტენციალი უსაზღვროა“ - განაცხადა „კლინსმან“.

კრისტიან პულიშიჩის ხელში ჩასაგდებად „ლივერპულს“ სერიოზული კონკურენტები ჰყავს

სიტი

სერხიო აგუერომ „მანჩესტერ სიტის“ ფანები დაამშვიდა და აღნიშნა, რომ არსად წასვლას არ აპირებს და კიდევ მრავალი წლის განმავლობაში დარჩება „ქალაქელების“ რიგებში. ბოლო დროს არგენტინელს მადრიდის „რეალს“ უკავშირებენ, მაგრამ 28 წლის თავდამსხმელმა თქვა, რომ თუ ოდესმე „სიტის“ დატოვებს, მაშინ მშობლიურ კლუბ „ინდეპენდიენტეში“ კარიერის დასასრულებლად გადავა.

მანჩესტერი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ შემტევი ნახევარმცველი **ჰენრიხ მხითარიანი** ამბობს, რომ ვერავინ და ვერაფერი შეუშლის ხელს „ოლდ ტრაფორდზე“ თავისი ოცნების ახდენაში. იგი „ოცნებების თეატრზე“ დიდი ხნით აპირებს დარჩენას და შემადგენლობაში ადგილისთვის ბრძოლას გააგრძელებს. 27 წლის სომეხი „წითელ ეშმაკებში“ 26 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ „დორტმუნდიდან“ გადაბარგდა, მაგრამ ჟოზე მოურინიოს ნდობით ჯერჯერობით, ვერ სარგებლობს. ბორუსიელებმა მისი უკან დაბრუნების სურვილიც გამოთქვეს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, მხითარიანს სხვა გეგმები აქვს.

ტოტენჰემი

ლონდონის „ტოტენჰემმა“ **უგო ლორისს** განუცხადა, რომ თუ კლუბთან ახალი, გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება სურს, შეთავაზებულ ხელფასს უნდა დათანხმდეს. „დეზებს“ თავისი სახელფასო სტრუქტურა აქვთ და კოლოსალურ ჯამაგირს არავის გადაუხდიან, რომ სიტუაცია არ აირიოს და სისტემაც არ შეიცვალოს. ასე რომ, მოთამაშეებს ახლო მომავალში განსაკუთრებული ხელფასების იმედი არ უნდა ჰქონდეთ და პრივილეგირებული თვით ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურაც არ იქნება,როგორიც 29 წლის ფრანგი გოლკიპერია.

ვესტ ბრომვიჩი

ტონი პულისმა თავისი კომენტარებით „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის“ მფლობელს, **გუჯუან ლაის** აგრძნობინა, რომ ზამთარში შემადგენლობის გაძლიერება სურს და ტრანსფერებისთვის გარკვეული ბიუჯეტის გამოყოფას ელის. „ვესტ ბრომვიჩის“ ერთ-ერთი სამიზნე „ლივერპულის“ მცველი **მამადუ სახო** იქნება, რომლის შეძენასაც „ალბიონი“ ვერ გასწვდება, მაგრამ იჯარით მისი აყვანა რეალურია. 26 წლის უკანახაზელს ტრავმის გამო ძალიან დიდი დრო გაუცდა და, თითქოს, „ენფილდზე“ მომავალი აღარ აქვს, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც **იურგენ კლოპმა** უნდა თქვას, რომელსაც დაცვაში საქმე იდეალურად ვერ დაულაგებია. თუკი ამჟამინდელ „ლივერპულს“ სუსტი წერტილი აქვს, პირველ რიგში, სნორედ უკანა ხაზში.

ბარნლი

„ბარნლის“ მმართველი **მაიკ გარლიკი** ფანებს შემადგენლობის გაძლიერებას ჰპირდება. მისი თქმით, კლუბი აუცილებლად უნდა დარჩეს პრემიერლიგაში და **შონ დაიჩის** ამჟამინდელი შედეგებითაც კმაყოფილია, მაგრამ სეზონი გრძელია და ახალი მოთამაშეები არ გვაწყენდაო. თუმცა გარლიკმა ისიც დაამატა, ბევრ ტრანსფერსაც ნუ დაელოდებით, აქცენტს ხარისხზე გავაკეთებთ და არა რაოდენობაზეო.

„ჩელსიში“ სურთ, რომ ვერატიმ ფაბრეგასი ჩაანაცვლოს

ამბები

ბრძოლა ჰენრიხსისთვის

„ლევერკუზენის“ მარჯვენა მცველით, **ბენჯამინ ჰენრიხსით** ერთბაშად სამი ინგლისური გრანდია დაინტერესებული - „მანჩესტერ იუნაიტედი“, „მანჩესტერ სიტი“ და ლონდონის „ჩელსი“. 19 წლის ფეხბურთელს უკვე გერმანიის ნაკრებშიც დაუძახეს, მიმდინარე ბუნდესლიგაში მან 9 მატჩი ჩაატარა და 2 საგოლე პასი მიითვალა. „ფარმაცევტები“ თავის ნორჩ ვარსკვლავს ალბათ, ადვილად არ შეელევიან.

უმგიტი – ისევ ლაზარეთში

ლუის ენრიკესთვის ახალი ცუდი ამბავია, „ლუჩოს“ დაცვაში ისედაც ჰქონდა საკადრო პრობლემები და ახლა ამას 22 წლის **სამუელ უმტიტის** ტრავმა დაემატა. ექსლიონელი სანაკრებო შეკრებაზე გაემგზავრა და იქ დაშავდა კიდეც. „მამლების“ სამედიცინო შტაბმა უმტიტის სამკვირიანი უქმობა გამოუწერა. **დიდიე დეშამმა** იგი „ვალენსიას“ **ელიაკიმ მანგალათი** ჩაანაცვლა, მაგრამ რას მოიფიქრებს ლუის ენრიკე, ამას მომავალში ვნახავთ. კატალონიელთა თავკაცს პირველ რიგში. იმის იმედი ექნება, რომ სანაკრებო პაუზის მერე, ტრავმირებული მოთამაშეების ნაწილი მაინც დაუბრუნდება.

სამუელ უმტიტი

რას ნიშნავს გრიზმანის კომენტარი

მადრიდის „ატლეტიკოს“ 25 წლის ფორვარდი **ანტუან გრიზმანი** ამბობს, რომ ერთ დღეს თანამემამულე **პოლ პოგბას** მხარდამხარ თამაში ნაკრების გარდა საკლუბო დონეზეც სურს. ეს კარგი ინფორმაციაა „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და მისი ფანებისთვის, „წითელ ეშმაკებს“ გრიზმანის დარი ფეხბურთელი არ აწყენდათ. „პატარა პრინცს“ სხვა არაერთი მსურველიც ჰყავს, მაგრამ ახლო მომავალში მისი „ათლეტებიდან“ წასვლა მაინც ნაკლებად რეალურია. თუმცა „მანჩესტერში“ გრიზმანის ამ მესიჯს აუცილებლად ჩაინიშნავენ. უფრო რეალური ანტუანის ტრანსფერი ალბათ 2018 წლის ზაფხულში იქნება, როდესაც „ატლეტიკოს“ შესაძლოა, **დიეგო სიმეონეც** დატოვებს. ფრანგს ნათქვამი აქვს, რომ სანამ „ჩოლო“ მწვრთნელი იქნება, „ვისენტე კალდერონიდან“ ფეხს არ მოვიცვლიო.

ლიდსი ისევ იყიდება?

იტალიელი ბიზნესმენი **მასიმო ჩელინო** ისევ ვერ ისვენებს და შესაძლოა, მან „ლიდს იუნაიტედი“ გაყიდოს. ამჯერად ჩელინოს სერია B-ში მყოფი „ბრეშას“ აქციების წილის შეძენა დასჯდომია ჭკუაში. იქამდე კი „ლიდსი“ **ჯერომ სინკლერით** გაძლიერებას ფიქრობს. 20 წლის ფეხბურთელი „უოტფორდმა“ „ლივერპულისგან“ 2 მილიონ ფუნტად შეიძინა, მაგრამ თავდამსხმელს შანსი არ ეძლევა და შესაძლოა, ბედი ჩემპიონშიპში სცადოს.

გვერდი მოამზადა
გიორგი კაკაბაძემ

113-ე, მაგრამ პი ახალ უემბლიზე

ინგლისი-შოტლანდია დ

* სამი დღის განმავლობაში ევროპის კონტინენტზე 27 შესარჩევი მატჩი გაიმართება, 9 ჯგუფში 3-3 დაპირისპირება.
* პირველი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთის ისტორიაში სწორედ შოტლანდიასა და ინგლისს შორის შედგა. შოტლანდიურ პარტიკში ეს დაპირისპირება 0:0 დასრულდა (1872 წ).
* ინგლისი და შოტლანდია ერთმანეთს 113-ედ ხვდებიან, მაგრამ პირველად ახალ „უემბლიზე".
* ევროპაში მომდევნო ტურის შესარჩევი მატჩები უკვე გაისად, 24-26 მარტს გაიმართება.

უახლოეს სამ დღეში ევროპაში მუნდიალის შესარჩევი მატჩებია. ქართველი გულშემატკივრის მთელი ყურადღება D ჯგუფისკენაა, სადაც ვლადიმირ ვაისის გუნდი თამაშობს, მაგრამ უინტერესო არც დანარჩენ 8 ჯგუფში გასამართავი ბატალიებია, რომელთა ფონზე სანაკრებო ფეხბურთის კლასიკა - ინგლისი შოტლანდიის წინააღმდეგ, გამოირჩევა.

A ჯგუფი

პარასკევი. 11 ნოემბერი

საფრანგეთი-შვედეთი 23:45

კვირა. 13 ნოემბერი

ბულგარეთი-ბელარუსი 21:00
ლუქსემბურგი-ჰოლანდია 21:00

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შვედეთი	3	2	1	0	5-1	7
2. საფრანგეთი	3	2	1	0	5-1	7
3. ჰოლანდია	3	1	1	1	5-3	4
4. ბულგარეთი	3	1	0	2	5-10	3
5. ბელარუსი	3	0	2	1	2-5	2
6. ლუქსემბურგი	3	0	1	2	4-6	1

B ჯგუფი

კვირა. 13 ნოემბერი

უნგრეთი-ანდორა 21:00
შვეიცარია-ფარერები 21:00
პორტუგალია-ლატვია 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შვეიცარია	3	3	0	0	7-3	9
2. პორტუგალია	3	2	0	1	12-2	6
3. უნგრეთი	3	1	1	1	4-3	4
4. ფარერები	3	1	1	1	2-6	4
5. ლატვია	3	1	0	2	1-4	3
6. ანდორა	3	0	0	3	1-9	0

C ჯგუფი

პარასკევი. 11 ნოემბერი

ჩეხეთი-ნორვეგია 23:45
ჩრ. ირლანდია-აზერბაიჯანი 23:45
სან მარინო-გერმანია 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	3	3	0	0	8-0	9
2. აზერბაიჯანი	3	2	1	0	2-0	7
3. ჩრ. ირლანდია	3	1	1	1	4-2	4
4. ნორვეგია	3	1	0	2	4-5	3
5. ჩეხეთი	3	0	2	1	0-3	2
6. სან მარინო	3	0	0	3	1-9	0

E ჯგუფი

პარასკევი. 11 ნოემბერი

სლოხეთი-ჩერნოგორია 21:00
დანია-ყაზახეთი 23:45
რუმინეთი-პოლონეთი 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩერნოგორია	3	2	1	0	7-1	7
2. პოლონეთი	3	2	1	0	7-5	7
3. რუმინეთი	3	1	2	0	6-1	5
4. დანია	3	1	0	2	3-4	3
5. ყაზახეთი	3	0	2	1	2-7	2
6. სომხეთი	3	0	0	3	1-8	0

F ჯგუფი

პარასკევი. 11 ნოემბერი

ინგლისი-შოტლანდია 23:45
მალტა-სლოვენია 23:45
სლოვაკეთი-ლიტვა 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინგლისი	3	2	1	0	3-0	7
2. ლიტვა	3	1	2	0	5-3	5
3. სლოვენია	3	1	2	0	3-2	5
4. შოტლანდია	3	1	1	1	6-5	4
5. სლოვაკეთი	3	1	0	2	3-2	3
6. მალტა	3	0	0	3	1-9	0

G ჯგუფი

შაბათი. 12 ნოემბერი

ალბანეთი-ისრაელი 23:45
ლიხტენშტაინი-იტალია 23:45
ესპანეთი-მაკედონია 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ესპანეთი	3	2	1	0	11-1	7
2. იტალია	3	2	1	0	7-4	7
3. ალბანეთი	3	2	0	1	4-3	6
4. ისრაელი	3	2	0	1	5-5	6
5. მაკედონია	3	0	0	3	4-7	0
6. ლიხტენშტაინი	3	0	0	3	1-12	0

H ჯგუფი

კვირა. 13 ნოემბერი

კვიპროსი-გიბრალტარი 21:00
ბელგია-ესტონეთი 23:45
საბერძნეთი-ბოსნია 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბელგია	3	3	0	0	13-0	9
2. საბერძნეთი	3	3	0	0	8-1	9
3. ბოსნია	3	2	0	1	7-4	6
4. ესტონეთი	3	1	0	2	4-7	3
5. კვიპროსი	3	0	0	3	0-7	0
6. გიბრალტარი	3	0	0	3	1-14	0

I ჯგუფი

შაბათი. 12 ნოემბერი

ხორვატია-ისლანდია 21:00
თურქეთი-კოსოვო 21:00
უკრაინა-ფინეთი 23:45

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ხორვატია	3	2	1	0	8-1	7
2. ისლანდია	3	2	1	0	6-3	7
3. უკრაინა	3	1	2	0	6-3	5
4. თურქეთი	3	0	2	1	3-5	2
5. ფინეთი	3	0	1	2	3-5	1
6. კოსოვო	3	0	1	2	1-10	1

ბომბარდირები: 5 - რობერტ ლევანდოვსკი (პოლონეთი), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია); 4 - მარიო მანჟუკიჩი (ხორვატია), თომას მიულერი (გერმანია), ადრიენ სილვა (პორტუგალია).

მეორეადგილოსანთა მიმდინარე ცხრილი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	3	3	0	0	8-1	9
2. საფრანგეთი	3	2	1	0	5-1	7
3. იტალია	3	2	1	0	7-4	7
4. ისლანდია	3	2	1	0	6-3	7
5. ირლანდია	3	2	1	0	6-3	7
6. პოლონეთი	3	2	1	0	7-5	7
7. აზერბაიჯანი	3	2	1	0	2-0	7
8. პორტუგალია	3	2	0	1	12-2	6
9. ლიტვა	**3**	**1**	**2**	**0**	**5-3**	**5**

შენიშვნა: მსოფლიოს ჩემპიონატზე გადიან ჯგუფების გამარჯვებულები. 8 მეორეადგილოსანი პლეი ოფში დარჩენილ 4 საგზურს გაითამაშებს.

დღე პირველი, დღე უკანასკნელი?

შესაძლოა, **გარეთ საუთგეიტისთვის** ეს გზის დასაწყისი იყოს, ხოლო მისი ვიზავი **გორდონ სტრაჩანისთვის** გზის ბოლო. ფაქტია, საფეხბურთო სამყაროს ყურადღება დღეს „უემბლისკენაა", სადაც ინგლისის ნაკრები შოტლანდიას მასპინძლობს. ორივე მწვრთნელზე დიდი ზეწოლაა. საუთგეიტმა სლოვენიასთან თამაშში აჩვენა, რომ გადაწყვეტილებების მიღების არ ეშინია - მან თადარიგში დატოვა კაპიტანი **უეინ რუნი**, მაგრამ დროებითი თავკაცის ინგლისი ვერ თამაშობს კარგად და თუ ასე გააგრძელა, გარეთიც ვერ მიიღებს სანატრელ სამსახურს და წლის ბოლოს ნაკრებს დაემშვიდობება. რა თქმა უნდა, ამ მხრივ სწორედ შოტლანდიასთან მატჩია გადამწყვეტი და არა მომდევნო ამხანაგური შეხვედრა ესპანეთის გუნდთან.

კევინ გამეიროსა და ანტუან გრიზმანის დუეტი შეუცვლელია

საუთგეიტს გაუმართლა, რომ **ჰარი კეინმა** მოიშუშა ტრავმა და ის დაბრუნდა, ეს ინგლისის ნაკრების შანსებს ზრდის. ამასთან, დროებითმა თავკაცმა უკვე განაცხადა, რომ ამჯერად, რუნი სასტარტოში იქნება და კაპიტანი მისი მთავარი იმედია შოტლანდიასთან მატჩში.

სტრაჩანს უფრო სერიოზული პრობლემები აქვს. მართალია, „ჰალის" **რობერტ სნოდგრასი** შესანიშნავ ფორმაშია, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ნაკრების სხვა ფეხბურთელებზე და თავად შოტლანდიის ნაკრებზე, რომელმაც წინა ტურში სლოვაკეთთან დათმო და თუ „უემბლიზეც" დამარცხდება, ალბათ, გამოცდილ სპეციალისტს დაემშვიდობებიან.

„რუნი შესანიშნავად გამოიყურება, ის კარგ ფორმაშია და ძალიან მონდომებულია. არანაირი მიზეზი არ არსებობს, რომ ის სასტარტო თერთმეტეულში არ მოხვდეს. „მანჩესტერ იუნაიტედში" ბოლო მატჩებში მან კარგად ითამაშა. მისი გამოცდილება კი შოტლანდიასთან მატჩში აუცილებლად გამოგვადგება", - განაცხადა გარეთ საუტგეიტმა.

ალბათ, იმაზე ლაპარაკი არც ღირს, რომ „უემბლიზე" ყველა ბილეთი უკვე კარგა ხნის გაყიდულია.

სავარაუდო შემადგენლობები

ინგლისი (4-2-3-1): *ჰარტი - უოკერი, სტოუნსი, კეჰილი, როუზი - ჰენ-*

რვეული

იოახიმ ლიოვი და მწვრთნელი მიროსლავ კლოზე

... ა კიდევ 26 ჯახი

მთავარი მატჩი ინგლისი-შოტლანდიაა

დერსონი, დაიერი - სტერლინგი, რუნი, ლალანა - სტარიჯი

შოტლანდია (4-3-3): *მარშალი - პატერსონი, ბერა, მარტინი, უოლასი - ფლეტჩერი, მაკარტური, ბრაუნი - სნოდგრასი, მარტინი, რიტჩი*

* ინგლისის ნაკრები 32 მატჩია, რაც შესარჩევ შეხვედრაში არ დამარცხებულა (იგულისხმება, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები, ისე ევროპის ჩემპიონატის).

* ამ 32 მატჩიდან ინგლისმა 24 მოიგო და 8 ფრედ დაასრულა.

* შოტლანდიის ნაკრებთან უკანასკნელი ოფიციალური შეხვედრა ინგლისმა 1999 წელს წააგო.

* ბოლო 9 ურთიერთდაპირისპირებაში 7-ჯერ ინგლისელებმა მოიგეს, 1 მატჩი ფრედ დასრულდა და ერთხელ (1999) შოტლანდიამ „უემბლიზე" **დონ ჰატჩინსონის** გოლის წყალობით მოიგო.

* ბოლოს ეს გუნდები ერთმანეთს „სელტიკ პარკზე" შეხვდნენ 2014 წელს. ინგლისმა 3:1 მოიგო, რაშიც მას უეინ რუნის დუბლი დაეხმარა.

ატლეტიკოს წყვილი ლურჯებში

კევინ გამეირო გასულ თვეში დაუბრუნდა საფრანგეთის ნაკრებს, სადაც ბოლოს 5 წლის წინათ ეთამაშა. დაბრუნება შესანიშნავი გამოდგა, მან ბულგარელთა კარში დუბლი შეასრულა. უმალვე გამოჩნდა, რომ „ატლეტიკო" საფრანგეთის ნაკრებისთვის დიდებულ საქმეს აკეთებს, რადგან ის და **ანტუან გრიზმანი** სასწაულად შეთამაშდნენ მადრიდულ კლუბში. ბულგარელებთან ტრიუმფს მოჰყვა ჰოლანდიის 1:0 დამარცხება მისსავე მოედანზე. ასე რომ, ახლა „ლურჯებს" ჯგუფის ლიდერობის მოპოვება შეუძლიათ. სამი ტურის შემდეგ ჯგუფში ფრანგები და შვედები ლიდერობენ იდენტური მონაცემებით, მაგრამ ამ ტურში **დიდიე დეშამის** გუნდი სწორედ შვედეთს მასპინძლობს და მოგების შემთხვევაში, „ლურჯები" ერთპიროვნულ ლიდერობას მიიღებენ. სტუმარი გუნდი კი ისეთი სახიფათო ვეღარ არის შეტევაში, რადგან მას აღარ ჰყავს ლეგენდა, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი**. ზლატანმა ევრო 2016-თან ერთად დაასრულა სანაკრებო კარიერა.

ეს თამაში კვირას უნდა გამართულიყო, როგორც ჯგუფის სხვა თამაშები, მაგრამ კვირას პარიზის დაბომბვის მორიგ წლისთავს აღნიშნავენ და ლიდერთა დაპირისპირებამაც გადმოინია.

დიდიე დეშამი (საფრანგეთი): *„ახლანდელი შვედეთი სულ სხვა გუნდია, ყველას კარგად გვესმის იბრაჰიმოვიჩის მნიშვნელობა. ნაკრებში ის ძალიან ეფექტური იყო. როცა გუნდში ზლატანისნაირი ფეხბურთელია, გუნდი მასზე თამაშობს. არ არის ზლატანი და გუნდმა სულ სხვანაირად უნდა ითამაშოს. რაც უნდა კარგი კოლექტივი გყავდეს, თუ გუნდში ზლატანია, მასზე ხარ დამოკიდებული. მაგრამ შვედეთის ნაკრები მხოლოდ ზლატანი არ არის, სხვებიც საკმაოდ საშიშები არიან შეტევაში. მაგრამ, რა თქმა უნდა, ზლატანთან ერთად მათთან ბრძოლა უფრო გაგვიჭირდებოდა"*.

იტალიელთა ვარჯიშზე

აზერბაიჯანი უინძორ პარკზე

მსოფლიოს ჩემპიონი გერმანიის ჯგუფში „მანშაფტი" მიუწვდომელი ჩანს, ასე რომ, ძირითადი ბრძოლა იქ მეორე ადგილისთვის და შესაბამისად, პლეი ოფის საგზურისთვის უნდა გაიმართოს. ამჟამად, ამ ადგილზე, ყველასთვის მოულოდნელად აზერბაიჯანია. აზერბაიჯანი „უინძორ პარკს" სტუმრობს, სადაც ევრო 2016-ის მონაწილე ჩრდილო ირლანდიამ აუცილებლად უნდა მოიგოს, თუკი მუნდიალზე მოხვედრისთვის სერიოზული შანსი სურს. წაგების შემთხვევაში, **მაიკლ ო'ნილის** გუნდი აზერბაიჯანს უკვე 6 ქულით ჩამორჩება. აღსანიშნავია, რომ **რობერტ პროსინეჩკის** გუნდს ჯერ გოლი არ გაუშვია.

შურისძიება მუნდიალისთვის?

ევრო 2016-მა ჩაიარა, მაგრამ ხორვატია და ისლანდია კვლავ აკვირვებენ ფეხბურთის სპეციალისტებს. კუნძულელებმა დაამტკიცეს, რომ ევრო 2016-ის უდიდესი სენსაცია შემთხვევით არ გამოაცხვეს. ახლა ჯგუფში მათ მხოლოდ ბურთების სხვაობა აშორებთ. შაბათს კი ჯგუფის ლიდერები ერთმანეთს დაეჯახებიან. ხორვატია ვარსკვლავებით არის გადაჭედილი, შინ ყოველთვის კარგად თამაშობს და ამ მატჩშიც აშკარა ფავორიტია, მაგრამ ისლანდიის ნაკრები კარგად ორგანიზებული, საშიში გუნდია. შეგახსენებთ, რომ 2014 წლის მუნდიალზე ისლანდიელები სწორედ ხორვატების გამო ვერ მოხვდნენ და კუნძულელებს შური აქვთ საძიებელი.

სხვა ამბები

მიროსლავ კლოზემ გერმანიის ნაკრებში დაიწყო მუშაობა, გუშინ მან პირველად მწვრთნელის რანგში მიიღო მონაწილეობა გუნდის ვარჯიშში. შეგახსენებთ, რომ დღეს მსოფლიოს ჩემპიონი სან მარინოს ხვდება. *„ძალიან მიხარია, რომ ისევ გავხდი ამ ოჯახის წევრი. მიხარია, რომ აქ მუშაობის შანსი მომეცა. დიდი ხანი ვფიქრობდი ჩემს მომავალზე. როცა ფეხბურთელი ვიყავი, ყოველთვის ვინტერესდებოდი ტაქტიკით, ანალიზით. ახლა კი ახალ გამოცდილებას მივიღებ და შესაძლოა, მომავალში ჩემგან კარგი მწვრთნელიც დადგეს. ისეთი გუნდის შტაბში მუშაობა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონია, ბევრს ნიშნავს ჩემთვის. გუნდმა და მწვრთნელთა შტაბმა ძალიან თბილად მიმიღო"*, - განაცხადა ახლო წარსულში საუკეთესო გოლეადორმა.

■ ■ ■

გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** სამი ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც აუცილებლად ითამაშებენ სან მარინოსთან მატჩის სასტარტო შემადგენლობაში: **მარკ-ანდრე ტერ შტეგენი**, **ილქაი გიუნდოგანი** და **მარიო გომესი**. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩისთვის იოგიმ საერთოდ არ გამოიძახა „არსენალის" ნახევარმცველი **მესუთ იოზილი**.

■ ■ ■

მუნდიალის მასპინძელმა რუსეთმა ამხანაგური მატჩი ითამაშა სტუმრად ყატართან და 1:2 წააგო. ქართველი **გიორგი ჯიქია** სათადარიგო იყო.

■ ■ ■

უკრაინის ნაკრების შეკრებაზე შვებით ამოისუნთქებს, რადგან „შალკეს" შემტევი ნახევარმცველის, **იევჰენ კონოპლიანკას** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. მან სრულყოფილად ივარჯიშა და ფინეთთან მატჩისთვის მზად არის. პირველადი ინფორმაციით, კონოპლიანკა 12 ნოემბრისთვის მომჯობინებას ვერ ახერხებდა, თუმცა კუნთის დაზიანება არ დადასტურდა, კუნთის სპაზმმა კი გაიარა.

■ ■ ■

ორმა ფეხბურთელმა, რომლებიც ადრე ალბანეთის ნაკრებში თამაშობდნენ, მიიღო კოსოვოს ნაკრებში გამოსვლის უფლება. ესენია: **ბესარტ ბერიშა** და **მერგიმ ვოივოდა**. პირველი 31 წლის ფორვარდია და მას ალბანეთის ნაკრებში 17 მატჩი აქვს ნათამაშები. 12 ნოემბერს კოსოვო თურქეთის ნაკრებს ხვდება.

■ ■ ■

სამუელ უმტიტის შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს **კინგსლი კომანიც** დაემტვრა, მისი თამაში გამოირიცხა. ასე რომ, კომანი სასწრაფოდ „მონაკოს" ნახევარმცველ **ტომა ლემარით** ჩაანაცვლეს.

■ ■ ■

ესპანეთის ნაკრების შეკრებაზე ტრავმა მიიღო ლონდონის „ჩელსის" ფორვარდმა **დიეგო კოშტამ**. ამიტომაც „როხაში" ცვლილებაა, კოშტას ნაცვლად **ხულიენ ლოპეტეგიმ** მაკედონიასთან მატჩისთვის **იაგო ასპასი** გამოიძახა, ვინც ვიგოს „სელტას' ფორვარდია.

ადრე ამბობდნენ, რომ კოშტას ტრავმა სერიოზული არ იყო და ის თამაშს შეძლებდა, თუმცა მწვრთნელებს მისი შეცვლა მაინც მოუწია.

■ ■ ■

ჰოლანდიის ნაკრების ფორვარდმა **ვინსენტ იანსენმა** ბელგიელ მეკარე **სიმონ მინოლესთან** შეჯახების შემდეგ გონება დაკარგა. ახლა იანსენის თამაში ლუქსემბურგთან თითქმის გამორიცხულია. სავარაუდოდ, ფორვარდს ტვინის შერყევა აქვს.

ორიოდე სიტყვით ამ ამხანაგურ მატჩზეც ვთქვათ - ამსტერდამში ჰოლანდია და ბელგია 1:1 დაზავდნენ. **დავი კლასენის** პენალტს პირველ ტაიმში, მეორე ტაიმში გოლით უპასუხა **იანიკ ფერეირა-კარასკომ**. თუმცა „ატლეტიკოს" ვარსკვლავს ამ ეპიზოდში რიკოშეტიც დაეხმარა.

სხვათა შორის, ამ თამაშში იანსენის გარდა, **დანი ბლინდმა სტეინ სხაარსი** და **ჯერმეინ ლენსიც** დაკარგა. მწვრთნელმა **ლეროი ფერი** გამოიძახა „სუონსიდან". ასევე **მარტენ დე რონი** (მიდლსბრო), ვისთვისაც (თუკი ითამაშებს) ეს შეხვედრა სადებიუტო იქნება ჰოლანდიის ნაკრების რიგებში.

გვერდეზე მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

მანჩესტერი

მოურინიოს შავი სია

ვის გაუშვებს პორტუგალიელი ზამთარში?

ახლოვდება ზამთარი. „მანჩესტერი“ ვერ არის ისეთი, როგორიც უნდა იყოს. ჟოზე მოურინიოს კი დიდხანს მოთმენა არ სჩვევია. ცხადია, ის „წითელ ეშმაკებში“ საკადრო წმენდას ჩაატარებს. რომელ ფეხსბურთელებს შეელევა მოუ? ჩვენი წერილი სწორედ ამ საინტერესო თემას ეხება.

კრის სმოლინგი და ლუკ შოუ

ცოტა ხნის წინათ, **კრის სმოლინგი** საუკეთესო ინგლისელ მცველად მოჩანდა, მაგრამ როგორც ირკვევა, საქმე მთლად ასეც არ არის. მიმდინარე სეზონში სმოლინგმა არაერთი შეცდომა დაუშვა. ის უფრო შეცდომების კოლექციონერს დაემსგავსა, ვიდრე მაღალი კლასის ფეხბურთელს. რა თქმა უნდა, ეს მოურინიოს არ მოსწონს. მან კრისის მიმართ კრიტიკა არ დაიშურა.

პორტუგალიელი ასევე უკმაყოფილოა მარცხენა მცველის, **ლუკ შოუს** გარჯით. ყველაფერ ამას ისიც დაემატა, რომ „სუონსისთან“ მატჩის წინ ორივე ფეხბურთელმა უთხრა ჟოზეს, რომ ვერ გავიდოდნენ მინდორზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

„სმოლინგს მიაჩნია, რომ თავისი ტკივილით ასი პროცენტით ვერ დაიხარჯება მინდორზე. დილით შოუმ მითხრა, რომ არ შეუძლია თამაში. იცით, ზოგიერთი ფეხბურთელი უნდა შეიცვალოს, „მანჩესტერში“ რომ ითამაშოს.“ - თქვა მოურინიომ.

მან იქვე დაამატა: *„მე მყავს ერთი ჩოგბურთელი მეგობარი და მან მითხრა მე, რომ უფრო ხშირად თამაშობდა ტკივილით, ვიდრე მის გარეშე. თუ გინდა იყო კონკურენტუნარიანი, დღეს ტკივილით თამაში უნდა ისწავლო.*

არის განსხვავება მამაც ფეხბურთელებსა და იმ მოთამაშეებს შორის, რომელთათვისაც ნებისმიერი ტკივილი დაბრკოლება ხდება. ახლა „იუნაიტედის“ დიდ ფეხბურთელებთან გასაუბრების საშუალება რომ მქონდეს, ისინი უთუოდ მეტყოდნენ მე, რომ არაერთი შეხვედრა ჩაუტარებიათ ტკივილის ფონზე.“ - დაასრულა მოურინიომ.

ჟოზე მოურინიომ ამათ წითელი აუნთო

ჰენრიხ მხითარიანი

136 - ეს სომეხი ფეხბურთელის მიერ განხორციელებული დარტყმების რაოდენობა არ გეგონოთ. ეს იმ წუთების ჯამია, რომლებიც **მხითარიანმა** მიმდინარე სეზონში „იუნაიტედის“ მაისურით ითამაშა.

არადა, სეზონთაშორის პერიოდში პორტუგალიელი მწვრთნელი ხშირად აქებდა სომეხ ფეხბურთელს. *„ის ჯადოსნური ფეხბურთელია.“* - ეს სიტყვები სწორედ მოურინიოს ეკუთვნის. ფაქტია, ჰენრიხს შანსი საერთოდ არ ეძლევა. დადის ხმები მის ტრავმაზე. ასევე მოურინიოსთან კონფლიქტზე.

„მან მეტი უნდა გააკეთოს გუნდისათვის. ყველაფერი ძალიან მარტივია. ჩვენ გვაქვს დიდი მოლოდინი და მან ის უნდა გაამართლოს. მან უნდა ითამაშოს მატჩზე, ლინგარდზე და მარსიალზე უკეთესად. ყველა მწვრთნელს უნდა მოგება და ყველა ამისთვის იყენებს საუკეთესო ფორმაში მყოფ ფეხბურთელებს.“ - ასე თქვა პორტუგალიელმა მხითარიანზე.

ბასტიან შვაინშტაიგერი

ამას წინათ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ წლის ხარჯთაღრიცხვა გამოაქვეყნა. სხვა ხარჯებთან ერთად ამ დოკუმენტში 6,7 მილიონზე წერია. არის განმარტებაც - ეს ხარჯი უკავშირდება ფეხბურთელს, რომელიც აღარ არის ძირითადი გუნდის წევრი.

ალბათ მიხვდით, საქმე ეხება გერმანელი და მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავს ბასტიან შვაინშტაიგერს. *„მე ველაპარაკე შვაინშტაიგერს. მე პასუხისმგებლობას მის მაგივრად ვერ ავიღებ. ეს მისი ცხოვრებაა, მისი კარიერაა.*

მან უნდა გადაწყვიტოს, წავიდეს თუ დარჩეს. ფაქტია - ჩვენ ორ პოზიციაზე ხუთი ფეხბურთელი გვყავს. თუ მაინც შეგვექმნება პრობლემა, მზად ვარ, რამდენიმე ნიჭიერი ბიჭი ავიყვანო აკადემიიდან და მათ მივცე შანსი.“ - ამბობს მოურინიო.

ჩანს, რომ ჟოზეს ბასტიანის იმედი აღარ აქვს. ნოემბრის დასაწყისში პორტუგალიელის ნებით „შვაინი“ ძირითად გუნდში დაბრუნდა. მაშინ ამ გადაწყვეტილებას ჟოზემ „ადამიანური და ჰუმანური“ დაარქვა.

არადა, რეალურად, დიდი ალბათობით, საქმე სულ სხვა რამეშია - ზამთრის სატრანსფერო პერიოდში „იუნაიტედს“ გერმანელი ნახევარმცველის სარფიანად გაყიდვა სურს.

კიდევ შვიდი

„ტელეგრაფმა“ გამოაქვეყნა იმ შვიდი ფეხბურთელის სია, რომლებიც ზამთარში გუნდს დატოვებენ. ესენი არიან **მარკოს რონო**, **მატეო დარმიანი**, **ფილ ჯონსი**, **მაიკლ კერიკი**, **ეშლი იანგი**, **მორგან შნეიდერლინი** და **მემფის დეპაი**.

ამ შვიდიდან ყველას თავისი ისტორია აქვს. დარმიანმა და დეპაიმ კარგი დასაწყისის შემდეგ მოუკლეს. ჯონსი კონკურენციაში დაიჩაგრა. შნეიდერლინის სტილი „იუნაიტედს“ არ უხდება. კერიკს მოურინიო მობილურობას უწუნებს. იანგი საქველმოქმედო საქმიანობას უფრო მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ფეხბურთს. რონო კი უბრალოდ არ არის „იუნაიტედის“ დონის.

ბუნდესლიგა

ორი გამოცანა, ორი გრანდი, ორი კრიზისი

ერთი კლუბის მოკლე დოსიე: გერმანიის ექვსგზის ჩემპიონი, თასის სამგზის მფლობელი, ჩემპიონთა თასის და თასების თასის გამარჯვებული. ეს გუნდი დღეს გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ადგილზეა, მხოლოდ 2 ქულა აქვს აქტივში და თითქმის განწირული მოჩანს მეორე ბუნდესლიგისათვის. გამოიცანით? წესით, ბევრი მარჩიელობა ამას არ სჭირდება. დიახ, ეს „ჰამბურგია“. ტრადიციული და ბევრი გერმანელისათვის საყვარელი გუნდი.

ჩვენ კლუბის წარსული მიღწევები ჩამოვთვალეთ. დრომ ისინი გაახუნა. კლუბის მენეჯმენტი კი ბოლო წლების განმავლობაში ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ გუნდი როგორმე გავარდეს გერმანული ბუნდესლიგიდან. იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა „ჰამბურგი“ ფორტუნამ აშკარად გადაარჩინა, მაგრამ ბედის წყალობა გაუთავებლად აღარ გაგრძელდება.

ხშირად გუნდის წარუმატებლობას მწვრთნელს აბრალებენ, მაგრამ **მარკუს გისდოლს** ბევრს ვერაფერს დავაბრალებთ. ჯერ ერთი, ის სეზონის მიმდინარეობისას მოვიდა გუნდში. მეორეც: გისდოლს დახვდა აბსოლუტურად დაუბალანსებელი შემადგენლობა, რომლის ფორმირებაშიც ამ სპეციალისტს არანაირი მონაწილეობა არ მიუღია.

ამ ორი კლუბის დაპირისპირებას გერმანიაში ნორდ დერბი ეწოდება

არადა, გისდოლი ცუდი მწვრთნელი სულაც არ არის. ეს მან დაამტკიცა „ჰოფენჰაიმში“ მუშაობის დროს. კლუბის წარუმატებლობაში ყველაზე მეტად დამნაშავე „ჰამბურგის“ მმართველი რგოლია. განსაკუთრებით - სპორტული დირექტორი, **დიტმარ ბაიერსდორფერი**. მის მიერ შესრულებული სასელექციო სამუშაო ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

არადა, თანამედროვე „ჰამბურგის“ შემადგენლობას სახელებით მართლა არა უშავს. უბრალოდ, გუნდში არ არის ბალანსი. გარდა ამისა, ძირითადად ორი კატეგორიის ფეხბურთელები არიან თავმოყრილნი: პირველებმა უკვე კარგა ხანია, უკან მოიტოვეს საუკეთესო წლები. მეორეებმა კი ვერა და ვერ გაამართლეს გაცემული ავანსები. ჩვენი სიტყვების დასადასტურებლად ორ მაგალითს მოვიყვანთ.

„ჰამბურგი“ დაცვაში საშინლად გამოიყურება. ამაში ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე გუნდის კაპიტანი, შვეიცარიელი მცველი, **იოჰან ჯურუა**. თავის დროზე შვეიცარიელი **არსენ ვენგერის** გუნდში ძირითადის ფეხბურთელი იყო. „არსენალში“ ჯურუმ ბევრი შეცდომა დაუშვა. ის მაშინ ბევრად უკეთესი იყო, ვიდრე დღეს არის. „ჰამბურგის“ დაცვას ასეთი ლიდერი ჰყავს. გუნდის კარში გოლი ყველას გააქვს, ვისაც არ ეზარება.

ახლა მეორე მაგალითი. ამ სეზონის წინ ბევრს გაუჩნდა შეგრძნება, რომ „ჰამბურგისათვის“ ხორვატ ტალანტს, „ბარსელონას“ სკოლაგამოვლილ **ალენ ჰალილოვიჩს** უნდა ელიდერა. თავის თაობაში ნიჭით გამორჩეული ხორვატი ვერ მოხვდა „ბარსას“ ძირითადში გერმანულ ბილიკს გაჰყვა.

რას აკეთებს ჰალილოვიჩი „ჰამბურგში“, ამის მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. ფაქტია, მას ვერანაირი სარგებლობა ვერ მოაქვს გუნდისათვის. და მაინც, ცალკეულ პერსონებში მთავარ დამნაშავეს ვერ ვიპოვით. მთავარი დამნაშავეები შეფობაში უნდა ვეძებოთ. იქნებ, ჯობდეს, გუნდი გავარდეს? გავარდეს, რაღაც გადაფასოს და მერე დაბრუნდეს. ეს ჩვენი ვარაუდია, მაგრამ აბა, „ჰამბურგის“ ქომაგებს ვკითხოთ - მათ ჯილას ხომ არასოდეს დაუტოვებია ბუნდესლიგა...

■ ■ ■

ახლა მეორე გამოცანა: გერმანიის ჩემპიონატში ეს გუნდი მეთექვსმეტე ადგილზეა. ამ ადგილზე გასული გუნდი სეზონის ბოლოს უძლიერესთა რიგებს დატოვებს და მეორე ბუნდესლიგაში გადაინაცვლებს.

არადა, ეს გუნდი არის გერმანიის ოთხგზის ჩემპიონი, თასის ექვსგზის მფლობელი, თასების თასის მფლობელთა თასის გამარჯვებული... ამასაც გამოიცნობთ - ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ტრადიციული და პოპულარული კლუბი გერმანიაში, ბრემენის „ვერდერი“.

ამ შემთხვევაშიც დამნაშავე კლუბის მმართველობაში უნდა ვეძებოთ. მას შემდეგ, რაც კლუბისა და თომას შააფის ხანგრძლივზე ხანგრძლივი თანამშრომლობა დასრულდა, „მუსიკოსებს“ არ ჰყოლიათ ხელირიანი მწვრთნელი.

ახლები მოდიან, წამით თითქოს გამოასწორებენ სიტუაციას და მერე გუნდი ისევ უფსკრულში ეშვება. მაგალითად ბოლო ორი მწვრთნელის დასახელებაც კმარა. **ვიკტორ სკრიპნიკმა** კარგად დაიწყო და ძალიან ცუდად დაასრულა.

ვინ არის კლუბის ამჟამინდელი დამრიგებელი, ირანული წარმოშობის გერმანელი, **ალეკსანდერ ნური**? ის „ვერდერის“ დუბლებში იყო, მერე რამდენიმე გუნდში ითამაშა. დაიწყო სამწვრთნელო კარიერა და განსაკუთრებული აქაც არაფერი.

რბილად რომ ვთქვათ, შემადგენლობა იდეალური არ არის. **კლაუდიო პისაროს** დრო კარგა ხანია, წავიდა. **ზლატკო იუნუზოვიჩს** სტაბილურობა აკლია. დაცვაში თითქმის არის კვალიფიციური ფეხბურთელი. გუნდი ძალიან ბევრს უშვებს და ეს გასაკვირი სულაც არ არის.

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც „თეთრ ყვავად“ მოჩანს გუნდში, **სერჟ გნაბრია**. „არსენალიდან“ წამოსული ფეხბურთელი გუნდში ყველაზე კლასიანია. ის ძალიან ბევრს ცდილობს, მაგრამ მარტო გნაბრის კი არა, მასზე გაცილებით ძლიერ ფეხბურთელებსაც გაუჭირდებათ.

ეჭვგარეშეა, „ვერდერის“ მიზანი წლეულს მხოლოდ ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება. არსებული რესურსით ეს ძალიან გაჭირდება...

გვერდი მოამზადა
ალეკო კაკაურიძემ

ტესტები

ბალანსში სხვაობა შესამცირებელია

გამარჯვება ათეულს დაგვიბევებს

საქართველოს ნაკრები ხვალ, ვაკის სტადიონზე ნოემბრის ტესტების პირველ მატჩს იაპონიის ეროვნულ გუნდთან გამართავს. გუშინ კი, „ბორჯღალოსნებმა“ ღია ვარჯიში ჩაატარეს.

იქამდე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ახალზელანდიელმა **მილტონ ჰეიგმა** საბრძოლო რაზმი დაასახელა, რომელშიც ორი დებიუტანტი მოხვდა. ესენია: შერკინების კვაჭი **ბადრი ალხაზაშვილი** (ტულონი) და გარემარბი **ანზორ სიჭინავა** (აკადემია). ორივე მათგანი სათადარიგოთა შორის არიან და იმედია თამაში საშუალებაც მიეცემათ. აღსანიშნავია, რომ ალხაზაშვილი და სიჭინავა შარშან გამართულ „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფაზე“ 20-წლამდელთა შემადგენლობაში იყვნენ. პირველი სულაც ამ გუნდის კაპიტანი გახლდათ.

საქართველოს ნაკრები, როგორც უკვე ვწერდით, ნოემბრის ტესტებზე ოპტიმალური შემადგენლობით შეიკრიბა. შერკინებაში ჰეიგს საკმაოდ მდიდარი არჩევანი ჰქონდა. იაპონიის წინაალმდეგ სათამაშოდ კი, ძირითად შემადგენლობაში ორი ისეთი ბურჯი დააყენა, რომლებსაც ივნისში, ოკეანეთის ტურნეზე მონაწილეობა არ მიუღიათ. ესენია: **მიხეილ ნარიაშვილი** (მონპელიე) და **ლევან ჩილაჩავა** (ტულონი). შერკინების კვაჭი ისევ **ჯაბა ბრეგვაძე** (ვორსტერი) იქნება.

მიხეილ ნარიაშვილი

საკმაოდ გამოცდილია მეორე ხაზიც. ივნისში არ უთამაშია, თუმცა ახლა ძირითად შემადგენლობაში იქნება **კონსტანტინე მიქაუტაძე** (მონპელიე), რომელიც **გიორგი ნემსაძეს** შეუწყვილდება.

საინტერესო გადაწყვეტილებაა მესამე ხაზში. შერკინების შემკვრელად აქ ნაკლებად გამოცდილი **ბექა ბიწაძე** (შამბერი) იქნება, რომელმაც ოკეანეთის ტურნეზე თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. ამ ტურნეზე არ ყოფილან მღლეტავად გამწესებული გუნდის კაპიტანი **მამუკა გორგოძე** (ტულონი) და ფლანკერი **ვიქტორ კოლელიშვილი** (კლერმონი).

მილტონ ჰეიგი დაცვაში თამაშს აქტიურად აკონტროლებს

უკანა ხაზში სიახლე ზემოთ ნახსენები ანზორ სიჭინავას გარდა არაფერია. ცხრა ნომრის პოზიციას **ვასილ ლობჟანიძე** (ბრივი) დაიკავებს, რომელიც ოკეანეთის ტურნეს დროს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ასპარეზობდა.

ფრთებზე **გიორგი აფციაური** (ლოკომოტივი) და **თამაზ მჭედლიძე** (აჟენი) ითამაშებენ. შუაში ტრადიციული წყვილი **დავით კაჭარავა** (ენისეი) და **მერაბ შარიქაძე** (ორიაკი) შეაწუხებენ მეტოქეს. მგეზავი **ლაშა ხმალაძე** (ლელო) იქნება. ფულბეკის პოზიციას კი, **მერაბ კვირიკაშვილი** (ლელო) დაიკავებს.

იაპონიასთან მატჩში 100-იანთა კლუბს ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებიან კვირიკაშვილი და კაჭარავა, რომელთა ანგარიშზე დღესდღეისობით 95-95 კეპია. ამასთან ერთად, კვირიკაშვილი 743 ქულით „ბორჯღალოსანთა“ საუკეთესო მექულეა.

ნაკრებს **მამუკა გორგოძე** უკაპიტნებს, რომელსაც აქამდე ეს პატივი 8-ჯერ ერგო. ის გუნდს ისტორიულ მსოფლიოს თასზეც კაპიტნობდა, სადაც, პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, ორი მატჩი მოვიგეთ და 2019 წლის მსოფლიოს თასის საგზური ავტომატურად მოვიპოვეთ.

ბრედ ჰარისი ბორჯღალოსნებს რაკში თამაშს ავარჯიშებს

გამარჯვების შემთხვევაში „ბორჯღალოსნები“ მსოფლიოს რეიტინგში ფიჯის ნაკრებს გაუსწრებენ და პირველად ქართული რაგბის ისტორიაში, მოწინავე ათეულში შევლენ, რაც უდიდესი მიღწევა იქნება. ჩვენს გუნდს 9-მატჩიანი დაუმარცხებელი სერია აქვს და სიმბოლური იქნება, თუ ზედიზედ მეათე გამარჯვებით მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შევალთ.

დავით კაჭარავა, საქართველოს ნაკრების შუამარბი:

„ძალიან რთული სამი თამაში გვექნება. პირველი შეხვედრა იაპონიასთან გვაქვს და გასული მსოფლიოს თასის შემდეგ, მაყურებელს განსაკუთრებული მოლოდინი აქვს. ჩვენ ოპტიმალური შემადგენლობით ვართ. მზადების პროცესი ძალიან კარგად მიდის და იმედი მაქვს, რომ ამ თამაშს წარმატებით დავასრულებით. მზად ვართ რომ, გულშემატკივარი გავახაროთ.

გასული მსოფლიოს თასის შემდეგ იაპონიის ნაკრების შემადგენლობაში გარკვეული ცვლილებებია. თუმცა, ტაქტიკა და თამაშის სტილი პრაქტიკულად იგივეა. მიმაჩნია, რომ იაპონია დღესაც ისეთივე ძლიერი გუნდია, როგორიც მსოფლიოს თასზე იყო და სანახაობრივი, საინტერესო შეხვედრა გამოვა“

ვიქტორ კოლელიშვილი, საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი:

„ტრავმებისა და გარკვეული მიზეზების გამო, დიდი ხანია ნაკრების მაისურით არ მითამაშია. ბედნიერი ვარ, ამის შესაძლებლობა რომ მომეცა. მნიშვნელოვანია პირველი თამაშის კარგად ჩატარება, რადგან განწყობა მომავალ შეხვედრებშიც გაგვყვება.

იაპონიასთან ბევრჯერ გვაქვს ნათამაშები. ისინი სწრაფ რაგბის თამაშობენ, დისციპლინირებული გუნდია, ბოლო წუთამდე იბრძვიან და საინტერესო შეხვედრის მოლოდინში ვარ. ვფიქრობ, კარგი სანახაობრივი თამაში იქნება, რომლის შედეგ ზეც დიდ გავლენას იქონიებს გულშემატკივრის ფაქტორი. საქართველოში მუდამ ვგრძნობთ გულშემატკივრის თანადგომას და მოხარული ვიქნებით, თუ ისინი ახლაც ჩვენ გვერდით დადგებიან“.

გიორგი ნემსაძე, საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი:

„იაპონიის ნაკრებთან ბოლო სამი დაპირისპირება დაძაბულ ბრძოლაში წარიმართა და, ახლაც, ასეთი მოლოდინი გვაქვს. ვუყურეთ იაპონიისა და არგენტინის ნაკრებების შეხვედრას. მეტოქე კარგი მორაგბეებით დაკომპლექტებული, საუკეთესოდ მომზადებული გუნდია. იაპონიას მონდომების და ფიზიკური ძალის ხარჯზე უნდა ვაჯობოთ. უნდა ვითამაშოთ ისე, აქამდე რომ არ გვითამაშია. რაც შეეხება ჩვენს სამწვრთნელო შტაბში მომხდარ ცვლილებებს, კარგი სპეციალისტები არიან. ერთთან ივნისში, ოკეანეთის ტურნეზეც გვქონდა შეხება. ყველაფერი კარგად აეწყო. სავარაუდოდ, ეს თამაშშიც გამოჩნდება. თუ გავიმარჯვებთ მსოფლიოს საუკეთესო ათეულში შევალთ. იმედია, ამის მიღწევას მოვახერხებთ“.

შეგახსენებთ, რომ აქამდე იაპონიის ნაკრებთან ოთხჯერ გვითამაშია და მხოლოდ ერთხელ მოვიპოვეთ გამარჯვება. ბალანსში სხვაობა შესამცირებელია, რასაც ჩვენი გუნდი შაბათს, ვაკის სტადიონზე 15 საათიდან შეეცდება.

ბესიკ ჯანგავაძე

საქართველო-იაპონია

საქართველო: 15. მერაბ კვირიკაშვილი, 14. თამაზ მჭედლიძე, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. გიორგი აფციაური, 10. ლაშა ხმალაძე, 9. ვასილ ლობჟანიძე. 1. მიხეილ ნარიაშვილი, 2. ჯაბა ბრეგვაძე, 3. ლევან ჩილაჩავა, 4. კონსტანტინე მიქაუტაძე, 5. გიორგი ნემსაძე, 6. მამუკა გორგოძე, 7. ვიქტორ კოლელიშვილი, 8. ბექა ბიწაძე

16. ბადრი ალხაზაშვილი, 17. ვასილ კაკოვინი, 18. დავით ქუბრიაშვილი, 19. ლაშა ლომიძე, 20. გიორგი თხილაიშვილი, 21. გიორგი ბეგაძე, 22. ლაშა მალაღურაძე, 23. ანზორ სიჭინავა

იაპონია: 15. კოტარო მაცუშიმა, 14. ლომანო ლემეკი, 13. ტიმოთი ლაფაელე, 12. ჰარუმიში ტატეკავა, 11. კარნე ჰესკეჩი, 10. ჰიკარე ტამურა, 9. ფუმიაკი ტანაკა. 1. სატროში ნაკატანი, 2. შოთა ჰორი, 3. ეიშირო იტო, 4. კოტარე იატაბე, 5. კიოსუკე კაჯიკავა, 6. მალგენე ილაუა, 7. შუნსუკე ნუნომაკი, 8. ამანაკი მაფი

16. ტაკეში ჰინო, 17. მასატაკა მიკამი, 18. იასუ იამაჯი, 19. სამუელა ანისე, 20. უვე ჰელუ, 21. კეისუკე უჩიდა, 22. ამანაკი ლოტოაჰეა, 23. კენკი ფუკუოაკა

12 ნოემბერი

იტალია-ახ.ზელანდია
ინგლისი-სამ.აფრიკა
შოტლანდია-ავსტრალია
უელსი-არგენტინა
ტონგა-ურუგვაი
რუმინეთი-აშშ
საფრანგეთი-სამოა
ირლანდია-კანადა
ბარბაროსები-ფიჯი

ქართველი NBA-ში

პირველ ტაიმში მოთავებული საქმე

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ „დალას მავერიქსს“ უმასპინძლა. ქართველი ცენტრი შარშან სწორედ დალასელთა რიგებში თამაშობდა და თავადაც ამბობს - საუკეთესო სეზონი მქონდაო. ტეხასიდან წამოსვლის შემდეგ ფაჩულია პირველად დაუპირისპირდა ყოფილ თანაგუნდელებს. საინტერესო იყო კიდევ ერთი დეტალი: როგორ ითამაშებდა ზაზა ავსტრალიელი ცენტრის **ენდრიუ ბოგატის** წინააღმდეგ. ეს უკანასკნელი „დალასში“ სწორედ „გოლდენ სტეიტიდან“ გადავიდა და ფაჩულიას დასამტკიცებელი აქვს, რომ გუნდისთვის მასზე მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია.

ქართულ-ავსტრალიური დუელი თავიდანვე გამოირიცხა - მწვრთნელმა **რიკ კარლაილმა** ბოგატი დაასვენა. ამიტომ, ფაჩულიას ცენტრის პოზიციაზე მოთამაშე მძიმე ფორვარდის, **დუაით პაუელის** წინააღმდეგ უწევდა ასპარეზობა. თუმცა თამაში ისე წარიმართა, სამწამიანი ზონა მეორეხარისხოვნად იქცა: „გოლდენ სტეიტის“ კალათბურთელებმა პერიმეტრიდან დაბომბეს „მავერიქსი“ და პირველივე ტაიმში მოითავეს საქმე - 30-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს.

ზაზამ თამაშის გახსნაში თავისი წვლილი შეიტანა: სტარტზე სამქულიანების ოსტატ **კლეი ტომპსონს** პასს პასზე აძლევდა. ტომპსონმა პირველ ტაიმში 4 სამქულიანი ჩააგდო და 19 ქულა მოიხვეჭა, ხოლო ფაჩულიას საბოლოოდ 4 პასი, 4 მოხსნა და 2 ქულა მოუგროვდა. მეორე ტაიმში მწვრთნელმა სათადარიგოები გამოსცადა და ზაზამ სულ 13 წუთი ითამაშა.

სტეფ კარის 24 ქულა ჰქონდა, ხოლო **კევინ დურანტს** - 28. „გოლდენ სტეიტმა“ 33-დან 17 სამქულიანი გამოიყენა, 11-ით მეტი, ვიდრე დალასელებმა.

კალათბურთი. ლეგიონი

დვალიშვილმა ურარტუ დალაშქრა

რუსეთის სუპერლიგის „ნოვოსიბირსკში“ მოთამაშე **აკაკი დვალიშვილმა** ახალ გუნდში გადასვლის შემდეგ საუკეთესო მატჩი ჩაატარა. მან 17 წუთში 20 ქულა და 6 მოხსნა მოაგროვა. 10-დან 8 ორქულიანი, 2-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, რასაც ერთი საჯარიმო მიამატა.

დვალიშვილის „ნოვოსიბირსკმა“ ერევანში „ურარტუ“ 100:76 დაამარცხა.

ციმბირელებს 7 მოგების წილ 1 წაგება აქვთ და პირველობას „ირკუტთან“ იყოფენ.

ძიუდო

ზონალური შესარჩევი

ამ უქმეებზე - 12-13 ნოემბერს, ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატის ზონალური შესარჩევი შეჯიბრებები გაიმართება. აღმოსავლეთის ზონალურ ტურნირს თბილისი უმასპინძლებს - ძიუდოს აკადემიაში ჩატარდება, დასავლეთისა კი კვლავაც ქუთაისში ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ ძიუდოს სამყარო ორ ზონად შარშან გაიყო, რამაც შეცვალა რეგიონული პირველობები. ზონალური შეჯიბრებებიც პირველად შარშან ჩატარდა, ასევე თბილისსა და ქუთაისში.

შესარჩევი პრინციპიც იგივეა - აღმოსავლეთ ზონაში შეჯიბრება მერვედფინალამდე, დასავლეთში კი მეოთხედფინალამდე გაგრძელდება ანუ ამ ეტაპებზე შეწყდება ტურნირი, რადგან აქ მედალოსანთა გამოვლენას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, გაირკვეს საქართველოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მონაწილენი. ამიტომ დასკვნით ფაზებს მნიშვნელობა არ აქვს.

ერთი სიტყვით, საქართველოს ჩემპიონატში გამოსვლის უფლებას ყოველ წონაში აღმოსავლეთიდან 16, დასავლეთიდან კი 8 კაცი მიიღებს. აი, ეს თემა კი ჯერ კიდევ შარშან საკამათო გახდა და ერთნიშნა მხარდაჭერა არც ამჯერად ექნება. ქომაგთა გაკვირვებას ის იწვევდა, რატომ იყო ასე განსხვავებული კვოტები ქვეყნის დასავლეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებს შორის, თუმცა ძიუდოს ფედერაცია ამბობს, რომ აღმოსავლეთ ზონას ძიუდოს უფრო ძლიერი ცენტრები აქვს და მეტი კვოტაც ამიტომ მისცეს.

თუმცა დავუბრუნდეთ ისევ ფინალური ეტაპის მონაწილეთა შერჩევის პრინციპს. მით უფრო, რომ დასახელებული რაოდენობა საბოლოო არაა - ყველა წონაში მათ 2-2 კაცი დაემატება წაგებულთა ხარჯზე, რომლებიც შანსს სანუგეშო ტურნირში მიიღებენ: იქ 2-2 ფინალისტს გამოავლენენ, რომლებსაც ასევე დაუშვებენ ქვეყნის ჩემპიონატში.

დამატებით, საქართველოს პირველობაში გამოვლენ ეროვნული ნაკრების ის წევრებიც, რომლებსაც მიმდინარე სეზონში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში ან ოლიმპიადაზე მედალი აქვთ მოპოვებული. ვიმეორებთ - ეს გამონაკლისი ეხებათ მხოლოდ მედალოსნებს, რომლებიც გათავისუფლებული არიან ზონალური შეჯიბრებებისგან. ამ ტურნირს ასევე გამოტოვებენ ის ახალგაზრდები, რომლებიც ზუსტად ამ დღეებში - დღეს და ხვალ თელ ავივში ევროპის 23-წლამდელთა ჩემპიონატში ჭიდაობენ. საქართველოს პირველობაზე მათაც გარანტირებული აქვთ ადგილი. საბოლოო ჯამში, ქვეყნის ჩემპიონატში, რომელსაც 26-27 ნოემბერს ასევე ძიუდოს აკადემია უმასპინძლებს, წონაში 30-32 კაცი გამოვა.

ზონალურ შეჯიბრებებში მონაწილეობა აუცილებელია ყველასთვის, ვინც ზემოაღნიშნულ ორ გამონაკლის კატეგორიაში ვერ ხვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ქვეყნის ჩემპიონატში არ დაუშვებენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პირველობით ჩვენი ვაჟთა ეროვნული ნაკრები ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით მომავალი სეზონისთვის იწყებს მზადებას, პირველი უცხოური შეჯიბრება კი 2-4 დეკემბერს ტოკიოში ჩასატარებელი ძიგორო კანოს „დიდი მუზარადი“ იქნება. იქ ჩვენები შემჭიდროებული გუნდით წავლენ - როგორც ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ირაკლი ციერეკიძემ** დააანანონსა, სავარაუდოდ, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონებს წაიყვანენ, თუმცა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

ირაკლი თავაძე

ხსოვნა

ედუარდ პლინერი

დიდი ხანი არ არის, რაც ამქვეყნიდან 80 წლისა წავიდა სახელოვანი მწვრთნელი, ფიგურული ციგურაობის სამყაროში ეპოქალური პიროვნება - ედუარდ პლინერი.

მაღალი რანგის სპეციალისტი, მწვრთნელი - მაძიებელი, გამორჩეული მუშაობის სტილით, ინდივიდუალიზმით, ინოვაციური მიდგომებით - ასეთი იყო მისი პროფესიული ბიოგრაფია დამშვენებული ევროპისა და მსოფლიოს, ოლიმპიური თამაშების სარბიელზე შეგირდთა წარმატებების სიმრავლით.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება 14 წლის ასაკიდან სიცოცხლის ბოლომდე საყვარელი საქმის ერთგულებას, ფიგურული ციგურაობის განვითარებასა და მომავალი თაობების, ღირსეული სპორტსმენების აღზრდას შეალია. მონდომებითა და შესაშური ენთუზიაზმით შეძლო სპორტის ეს ულამაზესი სახეობა ხელოვნებასთან შერწყმულ ნაზავად ექცია.

ედუარდ პლინერის სახელს უკავშირდება 1964 წელს საქართველოში პირველი საციგურაო დარბაზის გახსნა და ფიგურული ციგურაობის დაარსება ჩვენს ქვეყანაში. თბილისში გახსნილმა ყინულის მოედანმა მისცა სტიმული მოზარდი თაობის დაინტერესებას სპორტის ამ სახეობით. შემდგომშიც, მართალია, ჩვენი ქვეყნიდან შორს იყო, მისი მზრუნველობა, გულშემატკივრობა და თანადგომა არასოდეს დაჰკლებია ქართველ სპორტსმენებს. სწორედ ამ სიყვარულის გამოხატულება იყო, წლეულს მაისში ფიგურული ციგურაობის ფედერაციის, კერძოდ, მისი პრეზიდენტის, ქალბატონ მარიამ გიორგობიანის ძალისხმევით, ბატონი ედუარდის საქართველოში ჩამოყვანა ეროვნულ ჩემპიონატზე დასასწრებად და მისი აღზრდილების მიერ მადლიერებით გაჯერებული საღამოს მოწყობა ბათუმის სპორტულ - ახალგაზრდულ ცენტრში. ეს იყო ერთგვარი ხარკი იმ ქართველი სპორტსმენებისა და მთლიანად ფედერაციისა, ნიშნად მადლიერებისა და ედუარდ პლინერის ღვაწლის დაფასებისა. მას აუსრულდა სანუკვარი ოცნება და 50 წლის შემდეგ დაუბრუნდა საყვარელ საქართველოს. ბათუმში ყოფნისას გულისტკივილის მიზეზად ექცა ის, რომ მის მიერ დაარსებული თბილისის საციგურაო სპორტული სკოლის აღსაზრდელები არ მონაწილეობდნენ საქართველოს ჩემპიონატში.

ფიგურული ციგურაობის სამყარომ დაკარგა დიდი პროფესიონალი და ლეგენდარული პიროვნება, საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაციამ - მოამაგე და ერთგული მრჩეველი, ქართველმა მოციგურავეებმა - გულწრფელი გულშემატკივარი და უბრალოდ, ღირსეული ადამიანი.

ედუარდ პლინერის ამქვეყნიდან წასვლით ეპოქის ერთი სახელოვანი ნაწილი დასრულდა.

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია გამოთქვამს ღრმა მწუხარებასა და სინანულს ედუარდ პლინერის დაკარგვის გამო. ამასთან, გამოხატავს გულწრფელ მადლიერებას და პატივისცემას ქართული ფიგურული ციგურაობის შემოქმედის, მემატიანისა და ლეგენდარული პიროვნების, ედუარდ პლინერის ხსოვნის წინაშე.

საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია

ხსოვნა

ზაქარია მუხიაშვილი



40 დღე გავიდა, რაც ჩვენს შორის აღარ არის ერთ დროს მუხასავით უდრეკი ფალავანი ზაქარია მუხიაშვილი.

ცნობილი მოჭიდავეების სოფელია გლდანი, გლდანელობა, ყოველთვის ფალავნობასთან ასოცირდებოდა. გლდანელმა ზაქარია მუხიაშვილმა მეოცე საუკუნის ორმოცდაათიანი წლებიდან ღირსეულად გააგრძელა წარსული დროის გლდანელი მოჭიდავე-ფალავნების; კულას, ათოლას, ჯიბგირის, მიდელაურის, პატარა გლდანელის საფალავნო გზა...

ქართული ჭიდაობის ჭეშმარიტი მოჭირნახულე გლდანელი ვანო კოტორაშვილი იყო ზაქროს მწვრთნელიც და დამრიგებელიც.

დაუვიწყარი იყო პირველი ჯილდო თბილისის „ზღვის გახსნისადმი“ მიძღვნილ ქართული ჭიდაობის ზეიმზე 1952 წლის 2 მაისს.

1957 წლის შემოდგომაზე კი საქართველოს ფალავნობაზე ქართულ ჭიდაობაში საუკეთესო სამეული ასე განაწილდა: 1 ადგილი ზაქარია მუხიაშვილი , 2. დურმიშხან ბერუაშვილი, 3. ანზორ კიკნაძე...

საქართველოს 1957 წლის ფალავანმა ზაქარია მუხიაშვილმა მომდევნო 1958 წელს, თბილისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ზაქარიას ყველაზე წარმატებული სპორტული კარიერა ჭიდაობა სამბოში გამოვლინდა, როდესაც 1960 და 1963 წლებში სსრკ ორგზის ჩემპიონი გახდა.

სამბოში მის დაოსტატებას ცნობილი მწვრთნელი ქრისტეფორე ნინიაშვილი ხელმძღვანელობდა.

ზაქროს ჩემპიონობიდან 10 წლის შემდეგ, 1973 წელს, როდესაც სამბო მსოფლიოს სარბიელზე გავიდა, მუხიაშვილი უკვე სპორტს კარგა ხნის ჩამოცილებული იყო და სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა. მწვრთნელიც იყო და მსაჯობდა კიდეც. ქართული ჭიდაობისა და სამბოს განვითარების საქმეში მან თავისი წილი აგური დადო...

აწ უკვე სულმნათი ფალავნის, ზაქარია მუხიაშვილის, სახელს გლდანელები და არამარტო ისინი, ვფიქრობთ, „მუხიაშვილის მემორიალურ“ ტურნირზე გააცოცხლებენ.

გურამ პეტრიაშვილი, გიორგი ბიწკინაშვილი, თემურ წამალაშვილი, გაბრიელ ბარჯაძე

უკალათო ფარები

აი, რატომ ვაგებთ!

ამერიკაში დიდი ტრამპაცუმპაა - ტრამპმა არჩევნები მოიგო, საქართველოშიც დიდ მოგებებს ველით - ჯერ რაგბში იაპონიასთან, შემდეგ ფეხბურთში მოლდოვასთან... ამ თემებს ტაიმლაინში გვერდს როგორ ავუვლიდით, მაგრამ ჯერ წიგნი უნდა გადავშალოთ. მეორე კლასის „ჩვენი ენა ქართული", რომლის ავტორები არიან ნ. მაღლაკელიძე და ც. ყურაშვილი.

მავანმა შეიძლება გაიკვირვოს: სპორტულ გაზეთში რა ესაქმებათ დონალდ ტრამპს, ნ. მაღლაკელიძეს, ან ც. ყურაშვილს?! ახლავე განგიმარტავთ. გადავშალოთ წიგნი მე-19 გვერდზე.

„დავალება №2. გაარკვიეთ რას გამოხატავენ ქვემოთ მოცემული ძახილის წინადადებები:

1. ვიშ, გაზაფხული მოდის მორთული!

...4. როგორ გამიჭირდა ამოცანის ამოხსნა!

5. ჩვენმა ფეხბურთის ნაკრებმა კვლავ წააგო!"

რა შეიცვლებოდა ზედა წინადადებიდან პატივცემულ ფილოლოგებს „კვლავ" რომ ამოეგდოთ? მათთვის არაფერი, ჩვენთვის ბევრი რამ შეიცვლებოდა - მათი ნაშრომი „ტაიმლაინში" ვეღარ მოხვდებოდა, რადგან მივიღებდით ასეთ წინადადებას: ჩვენმა ფეხბურთის ნაკრებმა წაგო.

„კვლავ წააგო" ბავშვი რომ წაიკითხავს, გაუჩნდება „წამგებიან" სპორტზე მისვლის ან მამასთან ერთად თამაშის საყურებლად წასვლის სურვილი? იმის ნაცვლად, რომ პატარებს სპორტისადმი ინტერესი გავუღვივოთ, მეორე კლასიდანვე ინტერესს ვუკლავთ. სამწუხაროდ, სპორტისადმი მსგავს მიდგომას განათლების სფეროში ხშირად შევხვედრივართ. მეზობლის ბავშვს აქვს მოყოლილი, როგორ დაამზადეს პლაკატი წარწერით: გაგვიყვანეთ ფიზკულტურაზე დარბაზში!

დიახ, სკოლებში სპორტის გაკვეთილების ნაცვლად მათემატიკა, ქართული, ან უბრალოდ საუბრის გაკვეთილები ტარდება. მაშინ, როცა სკოლიდან შინ მისული ბავშვი კომპიუტერს მიახტება და ზედვე დაეძინება, როგორ შეიძლება სკოლაში მაინც არ ჰქონდეს ერთი გაკვეთილი, ხელ-ფეხი რომ გაამოძრაოს?! ფაქტია, ასეთ მასწავლებლებს სულ არ ანაღვლებთ ბავშვის ჯანმრთელობა, შვილს კომპიუტერთან დიდი ხნით ვინც უშვებს, არც იმ მშობელს ანაღვლებს. ჰოდა, თუ ჯანსაღი მომავალი თაობა სურს, განათლების სამინისტრომ უნდა მიაქციოს ყურადღება ფიზკულტურის, თუ სპორტის გაკვეთილებს.

სკოლებში სპორტისადმი მიდგომა, სპორტული პოლიტიკაა შესაცვლელი. როგორ შეიძლება დარბაზში ერთი კალათბურთის ფარი არ ეკიდოს, არ იყოს გოგონებისთვის და ვაჟებისთვის ცალ-ცალკე გამოსაცვლელი... ბავშვების საუბარს მივაყურადე. ერთი სიხარულით ეუბნებოდა: დარბაზში კალათები ჩამოგვიკიდესო. ეს აპრილში მოხდა, მანამდე მთელი სეზონი უკალათო ფარები ეკიდა.

ესეც ჩემი ყურით მაქვს მოსმენილი: ფიზკულტურაზე სულ სირბილით ჩავედით, გვეგონა ფეხბურთს ან კალათბურთს ვითამაშებდით... კალათბურთის ბურთი არ გვაქვს, ჩემს კლასელს წამოღება დავიწყებოდა. მასწავლებელმა ფეხბურთის ბურთი გამოიტანა - დაჩუტული იყო, „ნასოსი" ვერ ვიპოვეთ, ფრენბურთის ბურთი შედარებით სავსე იყო, მაგრამ მასწავლებელმა ფეხბურთი არ გვათამაშა. ბოლოს ქაღალდი დავაგორგოლავეთ და მას დავდევდით...

ამერიკაში ქაღალდით მეცხრამეტე საუკუნეში თამაშობდნენ, ასე მოიგონა ნეისმიტმა კალათბურთი. დღეს ამერიკაში სულ სხვა ვითარებაა - სპორტი ერთ-ერთი ყველაზე მთავარი რგოლია სასკოლო აღზრდის პროცესში. მხოლოდ ამერიკაში? აი, რა ამოვიკითხე ფინელების შესახებ: ფინური სკოლისთვის მთავარია, არა გენიოსის, არამედ ჯანმრთელი ადამიანის აღზრდა. ძალიან დიდ ყურადღებას უთმობენ სპორტს (თხილამურობას, ციგურაობას, ცურვას). გაკვეთილის შემდეგ ყველა მოსწავლისთვის აუცილებელია შხაპის მიღება.

ხედავთ, რამდენად ჩამოვრჩებით ფინელებს? სკოლიდანვე რომ არ გვაინტერესებს ბავშვთა სწორი ფიზიკური აღზრდა, იმიტომაც ვაგებთ „კიდევ" და „კიდევ"! ეს საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ბრალი კი არა, სკოლიდანვე არასწორი მიდგომის ბრალია! იცით, რატომ ითამაშა ისლანდიამ ევროპის ჩემპიონატზე? - იმიტომ, რომ იმ ქვეყანაში ახალი პროგრამა განხორციელდა, რომლის ამოსავალი წერტილი სასკოლო სპორტი იყო.

სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის სიტყვებით დავასრულოთ: ...ამიტომაცაა ყოველ ფეხის ნაბიჯზე აფთიაქი!

ფოტოპარალელი

დონალდ ტრამპის გაპრეზიდენტებას ბევრი არ ელოდა. ტოტალიზატორებში მისი გამარჯვება „ექვსიანი კუში" იყო. ჰილარი კლინტონი საფეხბურთო სიტუაციაში აღმოჩნდა: ეგონა გოლი გაიტანა, გაპრეზიდენტდა, მაგრამ გვერდითმა არბიტრმა (ტრამპმა) ოფსაიდი დაუფიქსირა...

ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნდა რამდენიმე ფოტოპარალელი, რომელშიც ტრამპს ფეხბურთელებს ამსგავსებენ.



რაგბი, ხევსური, სამურაი

ნამდვილი ამბავიაო, ამბობენ: რუსეთ-იაპონიის ომში, ბავშვობიდან ფარიკაობაში გამოწვრთნილმა ხევსურმა იაპონელი სამურაების ოცეული მოიგერიაო.

სამართლიანი შერკინება იყო? ბევრს ამ შეკითხვაზე უარყოფითი პასუხი ექნება - რა უნდოდა ქართველს შორეულ აღმოსავლეთში, რას ედავებოდა იაპონელებსო...

გავიდა დრო და იაპონელები უკვე თბილისში ჩამოვიდნენ, ოღონდ სამართლიანი გრძოლისთვის - 12 ნოემბერს საქართველო და იაპონია ერთმანეთს რაგბიში გაეჯიბრებიან.

სწორედ ახლა გამოჩნდება თხუთმეტი-თხუთმეტზე ბრძოლაში ჩვენ უფრო მაგრები ვართ თუ სამურაები.

ვაჟა სიმონიშვილი
ავტორის კარიკატურა

საკალათბურთო სკოლა „ჰიუნდაი" აცხადებს მიღებას

საქართველოს ასაკობრივი ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებული **„ჰიუნდაის"** საკალათბურთო სკოლა ახალი სეზონისთვის მიღებას აცხადებს. ვიწვევთ **6**-დან **12** წლამდე მოზარდებს, რომლებსაც კვალიფიციური მწვრთნელები მოამზადებენ.

„ჰიუნდაის" საკალათბურთო სკოლის მისამართია: ქ. თბილისი, საირმის ქუჩა 84 (პირველი ექსპერიმენტული სკოლის შენობა). მსურველები მობრძანდით აღნიშნულ მისამართზე,
ან დაგვიკავშირდით ტელეფონზე: **599 565505, 577 737304**

ხელბურთი

საქართველო-დიდი ბრიტანეთი

საუკეთესო ოთხეული თასისთვის იბრძოლებს

20-წლამდელ ხელბურთელ ვაჟთა IHF-ის ევროპული თასის გათამაშებაზე, რომელსაც ქუთაისის სპორტის სასახლე მასპინძლობს, გუშინ ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრები გაიმართა. საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა კვლავ აღმავლობით ითამაშა და დიდი ბრიტანეთის თანატოლთა გუნდი 16 ბურთის სხვაობით დაამარცხა.

IHF ტროფი, 20-წ. ევროპა.

10 ნოემბერი
ქუთაისის სპორტის სასახლე

საქართველო-ბრიტანეთი 32:16

საქართველო: ცინცაძე, ხანდოლიშვილი, ორჯონიკიძე- 8, რუსტამოვი- 6, დიხამინჯია- 6, იობაშვილი- 3, ბაინაზიშვილი- 2, გოგოლაძე- 2, არსენაშვილი- 2, ცხოვრებაძე- 1, მიქავა- 1, მათნაძე- 1, გოგავა, ლაპიაშვილი, მწვრთნელები - ორჯონიკიძე, კალანდაძე.

დიდი ბრიტანეთი: კარდენი, მაკლელანდი, გრინი- 4, ვაითი- 3, პრაისი- 3, ჯილეტი- 2, მური- 2, ტაილერი- 1, ბრეი- 1, სტრაჩენი, ჰავარდი, ვენეიბლზი, ლიისი, ლეპსლი.

მსაჯები: ბიუტუჩი, კასაპი (კოსოვო), დელეგატი: ბოიჩ-ჩაჩიჩი (ხორვატია).

წინა ორ ტურში საქართველოს და დიდი ბრიტანეთის ახალგაზრდა ხელბურთელებმა ორივე მატჩი დიდი სხვაობით მოიგეს და ნახევარფინალის საგზური ვადამდე გაინაღდეს. ბოლო ტურის პაექრობას მათ შორის ჯგუფში უძლიერესი უნდა გამოევლინა. მასპინძლები ამ შეხვედრაშიც გამარჯვების წყურვილით გავიდნენ მოედანზე და მეტოქეს საკუთარი თამაშის სცენარი მოახვიეს თავს: სწრაფი შეტევები და მკაცრი დაცვა, რამაც შედეგი გამოიღო - მეთერთმეტე წუთისთვის ჩვენები 4:0 დაწინაურდნენ და კუნძულელებმა ამის შემდეგ გაიტანეს პირველი გოლი, შესვენებამდე კი მხოლოდ ხუთჯერ გამოატანინეს ცინცაძეს კარის ბადიდან ბურთი, თავად კი 17 გოლი მიიღეს. ორთაბრძოლის მეორე ნახევარში სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, 11 ბურთიც გაიტანეს, მაგრამ მატჩში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლეს და 16:32 დამარცხდნენ. მასპინძელთაგან შეტევაში ყველაზე შედეგიანი იყო გუნდის კაპიტანი თემურ ორჯონიკიძე, რომელიც 8 გოლით გამოირჩა. A ჯგუფში სომხეთმა ალბანეთს აჯობა 32:21 და მე-5 ადგილისთვის თამაშის უფლება მოიპოვა.

ნახევარფინალში საქართველოს მეტოქე B ჯგუფში კოსოვოს და მალტის მატჩს უნდა გამოევლინა. კოსოველები მეტოქეს 34 ან მეტი ბურთის სხვაობით თუ მოუგებდნენ, პირველ ადგილს დაიკავებდნენ და საქართველოს ნაკრები მოლდოვას დაუპირისპირდებოდა. მართლაც, მალტამ ეს ორთაბრძოლა 18:52 დათმო და მონინააღმდეგედ მოლდოვა გვარგუნა, ხოლო კოსოვო ბრიტანელებთან გაარკვევს ურთიერთობას.

A ჯგუფი

8 ნოემბერი. ალბანეთი - საქართველო 10:55, სომხეთი - ბრიტანეთი 14:33

9 ნოემბერი. ბრიტანეთი - ალბანეთი 47:12, საქართველო - სომხეთი 47:8

10 ნოემბერი. საქართველო-ბრიტანეთი 32:16, სომხეთი - ალბანეთი 32:21

საქართველო- 6 (134:34), ბრიტანეთი- 4 (96:58), სომხეთი- 2 (54:101), ალბანეთი- 0 (43:134) ქულა.

B ჯგუფი

8 ნოემბერი. მოლდოვა - კოსოვო 27:27

9 ნოემბერი. მალტა - მოლდოვა 15:48

10 ნოემბერი. კოსოვო - მალტა 52:18

კოსოვო- 3 (79:45), მოლდოვა- 3 (75:42), მალტა- 0 (33:100) ქულა.

შეჯიბრების მონაწილეები დღეს დაისვენებენ.

12 ნოემბერი

V ადგილისთვის

სომხეთი-მალტა

ნახევარფინალი

საქართველო-მოლდოვა
კოსოვო-ბრიტანეთი

13 ნოემბერი

მატჩი III ადგილისთვის
ფინალი

ფარიკაობა

უმასპინძლებს საქართველო მსოფლიოს?

უნგრეთის დედაქალაქი 12-13 ნოემბერს რაპირით ფარიკაობაში 23-წლამდელთა ევროპის თასს უმასპინძლებს. ამ ტურნირში ჩვენებურთაგან საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, ახალგაზრდებში მსოფლიოს და ევროპის პირველობების არაერთგზის მონაწილე **ლუკა ღაღანიძე** იასპარეზებს. ერთი კვირის შემდეგ მოხმალავე ქალები საფრანგეთში მსოფლიოს თასის გათამაშებაზე მოსინჯავენ ძალებს. ამ შეჯიბრებაზე საქართველოს სპორტულ ღირსებას დაიცავს 23 წლის **დარია ანტონოვა,** რომელმაც ორი კვირის წინათ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო.

■ ■ ■

26-27 ნოემბერს მოსკოვში ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი გაიმართება, რომელიც ფედერაციის ახალ პრეზიდენტსა და გამგეობის წევრებს აირჩევს. თუმცა „ახალი" ამ შემთხვევაში პირობითი ცნებაა, რადგან პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატია - ფედერაციის ამჟამინდელი თავკაცი ალიშერ უსმანოვი (რუსეთი). კონგრესს ქართველთაგან ეროვნული ფედერაციის პირველი ვიცე პრეზიდენტი **ზაზა მჭედლიძე,** გენერალური მდივანი **დავით სახვაძე** და ნაკრების მთავარი მწვრთნელი **მერაბ ბაზაძე** დაესწრებიან. მათ დიდი მისია ეკისრებათ: საქმე ის არის, რომ თბილისმა მოფარიკავეთა 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობაზე თავისი კანდიდატურა წარადგინა. სწორედ, ამ სამეულის პრეზენტაციასა და ქართული ფარიკაობის სასახელო წარსულ-აწმყოზეა დამოკიდებული, კონგრესის 144 დელეგატი ვის დაუჭერს მხარს - საქართველოს დედაქალაქს თუ მის კონკურენტებს - უნგრეთის ქალაქ დიორსა თუ პოლონეთის ქალაქ ტორინს, სადაც წლეულს მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი მოეწყო. რადგან კონტინენტის პირველობა ვახსენეთ, აქვე ვიტყვით იმასაც, რომ გაისად მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატი სწორედ თბილისში გაიმართება. აქვე ჩატარდება ევროპის ფარიკაობის კონფედერაციის კონგრესი, რომელზეც ახალ პრეზიდენტსა და აღმასკომის წევრებს (ერთ-ერთი კანდიდატი დავით სახვაძე იქნება) აირჩევენ.

■ ■ ■

საქართველოს მოხმალავეთა ნაკრების წევრები **-** ახალგაზრდებში ევროპის სამგზის ჩემპიონი და რიოს ოლიმპიადის მონაწილე **სანდრო ბაზაძე,** მისი ძმა - 23-წლამდელებში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ბექა ბაზაძე,** ასევე, **მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე, ნიკა შენგელია** და **ვაჟა რეჭია** ამჟამად თბილისში ემზადებიან მომავალი ორთაბრძოლებისთვის. ნოემბრის მიწურულს ისინი უნგრეთს მიაშურებენ და 2-4 დეკემბერს ბუდაპეშტში მსოფლიოს თასის პირად-გუნდურ გათამაშებაში გამოცდიან საკუთარ შესაძლებლობებს, მანამდე კი ნიკა შენგელია და **ლიკა ჯიჯიეშვილი** გერმანიაში 20-წლამდელთა მსოფლიოს თასის ეტაპზე საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

ლუკა ღაღანიძე

ჭადრაკი

მეორე ადგილზე გადაინაცვლა

ნოვი სადში (სერბეთი) მოჭადრაკეთა ევროპის საკლუბო ჩემპიონატზე გუშინ მე-5 ტურის შეხვედრები გაიმართა. წინა ორ ტურში წაფორხილების შემდეგ წარმატებით ითამაშა ბათუმის „ნონამ" - დაძაბულ პაექრობაში რუსეთის „იუგრას" აჯობა - 2.5:1.5. პირველ დაფაზე **ნანა ძაგნიძე** 71-ე სვლაზე დაუზავდა უკრაინელ მსოფლიოს ექსჩემპიონსა და ევროპის ჩემპიონ ანა უშენინას. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ **ნინო ბაციაშვილი**-ნატალია პოგონინა, **ბელა ხოტენაშვილი**-ლილით მკრტიჩიანი. ზღვისპირელებს მომგებიანი ქულა ევროპის ორგზის პრიზიორმა **სალომე მელიამ** მოუტანა, რომელმა შავი ფიგურებით მარინა გუსევას 49-ე სვლაზე გააჩერებინა საათი.

სრული სვლით განაგრძობს წინსვლას „მონტე კარლო" - ვარსკვლავებით (ჰოუ იფანი, ანა და მარია მუზიჩუკები, პია კრამლინგი და ელმირა სკრიპჩენკო) დახუნძლულმა გუნდმა გუშინ ზედიზედ მეხუთე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად ყაზანის „ლადია" გაანადგურა - 4:0. დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: „ოდლარ იურდუ" (აზერბაიჯანი)-"ფიშერი" (იტალია) 2:2, „კაუნასი" (ლიტვა)-"მოსკოვი" (რუსეთი) 1:3, „პეტერბურგი" (რუსეთი)-"გორაჩიჩი" (სერბეთი) 2.5:1.5, „ავსტრია"-"მიდლენდი" (ინგლისი) 0.5:3.5, „ლაციო" (იტალია)-"რიშონი" (ისრაელი) 1:3.

სალომე მელია

ხუთი ტურის შემდეგ: „მონტე კარლო"-10, „ნონა"-7, „იუგრა", „ოდლარ იურდუ", „ფიშერი", „პეტერბურგი", „"ლადია"-6-6, „მიდლენდი"-4, „გორაჩიჩი", „კაუნასი", „რიშონი"-3-3, „ლაციო", „ავსტრია"-2-2 ქულა.

ვაჟებში ხუთი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ მაკედონიის „ალკალოიდი" (დინ ლიჟენი, დმიტრი ანდრეიკინი, პაველ ელიანოვი, დმიტრი იაკოვენკო, იუ იანი, იური კრივორუჩკო, ტრაიკო ნედევი, ფილიპ პანჩევსკი) ლიდერობს. მას ქულით ჩამორჩება „სიბერია" (რუსეთი). რვა გუნდს 8-8 ქულა აქვს.

დღეს ბოლოსწინა მე-6 ტურის შეხვედრები გაიმართება. „ნონა" იტალიის „Fischer Chieti"-ის შეხვდება, „მონტე კარლო" „პეტერბურგს" დაუპირისპირდება.

ჩოგბურთი

ხანთან ერთად შარმ ელ შეიხში

გიორგი ცივაძე

ქართველი ჩოგბურთელი **გიორგი ცივაძე** შარმ ელ შეიხის (ეგვიპტე) ვაჟთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. წყვილებში ინდოელ შაჰბაზ ხანთან ერთად მეოთხე ნომრადაა განთესილი. ქართულ-ინდურმა დუეტმა სტარტზე უკრაინელებს - ოლეგ პრიხოდკოსა და ალექსეი პროკოჩუკს დააყრევინა ფარ-ხმალი, გუშინ მეოთხედფინალში ცივაძემ და ხანმა კიდევ ერთი უკრაინული დუეტი (ოლექსანდრ ბიელინსკი და ოლეგ კოვალი) ჩამოიშორეს გზიდან - 6:3, 6:4 და ნახევარფინალში გავიდნენ, სადაც იური ჯავაკიანისა (უკრაინა) და დენის ევსეევის (ყაზახეთი) მძლეველ (7:6, 6:3) იტალიელებს - ფრანჩესკო გარძელოსა და ჯორჯო რიკას გაუწევენ მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალში ითამაშებენ მაჩეია ნოვაკი (პოლონეთი), მიხალ შმიდი (ჩეხეთი) და ვლადისლავ მანაფოვი (უკრაინა), დანიილ ზარაჩინსკი (ბელარუსი), რომლებმაც, შესაბამისად, კევინ ლინჩი (აშშ), ბართლომეი მარიზეკი (პოლონეთი)-6:7, 7:6, 10:5 და ალექსანდრ მანაფოვი (უკრაინა), მაიკლ ლიპენსი (აშშ)-6:2, 6:7, 10:6 დაამარცხეს.

ერთეულთა თანრიგში გიორგი ცივაძემ გუშინ მესამე ნომრად განთესილ რომან საფიულინთან (რუსეთი) წააგო - 5:7, 2:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა.

განთესილები ნახევარფინალში

დუბაიში დასასრულს უახლოვდება ახალგაზრდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სამი ქართველი ჩაება, მაგრამ შეჯიბრებას მხოლოდ მარიამ დალაქიშვილი შემორჩა: მეორე ნომრად განთესილმა ჩვენებურმა გუშინ რუმინელი კარმენ როქსანა მანუ დაამარცხა - 6:0, 6:2 და ნახევარფინალში გავიდა, სადაც მე-4 ნომერ ოლივია ელიოტს (დიდი ბრიტანეთი) დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში ანასტასია ბოვოლსკაიას (რუსეთი) აჯობა - 6:1, 7:5.

მეორე ნახევარფინალში ტურნირის რეიტინგფავორიტი კლარა ტაუსონი (დანია) და მესამე ნომერი ზოზია ქადარია (რუსეთი) ითამაშებენ, რომლებმაც გუშინ, შესაბამისად, დაშა ლოპატეცკაია (უკრაინა, 6:0, 6:4) და ზეინეპ იაზგანი (თურქეთი, 6:3, 6:3) ჩამოიშორეს გზიდან.

გვერდი მოამზადა
ვაჟა დანელიამ

ფორმულა 1. ბრაზილიის გრან პრის წინ

მოიგებს და ჩემპიონია!

როსბერგი პირველ ტიტულთან ახლოსაა

ბრაზილიის ტრასა

სიგრძე: 4 309 მეტრი
წრეების რიცხვი: 71
რბოლის დისტანცია: 305.909 კილომეტრი
DRS-ის ზონა: ორი
ტრასის რეკორდი: 1:11.473 (მონტოია, „უილიამსი", 2004)
ყველაზე მეტი მოგება: 6 - ალენ პროსტი

უქმეების განრიგი

11 ნოემბერი, 16:00 - I პრაქტიკა
11 ნოემბერი, 20:00 - II პრაქტიკა
12 ნოემბერი, 17:00 - III პრაქტიკა
12 ნოემბერი, 20:00 - კვალიფიკაცია
13 ნოემბერი, 20:00 - რბოლა

საერთო ჩათვლა

1. ნიკო როსბერგი	349 (9)
2. ლუის ჰემილტონი	330 (8)
3. დანიელ რიკარდო	242 (1)
4. სებასტიან ფეტელი	187
5. კიმი რაიკონენი	178
6. მაქს ფერსტაპენი	177 (1)
7. სერხიო პერესი	85
8 ვალტერი ბოტასი	85

ფორმულა 1-ის სეზონის დასრულებამდე ორი რბოლაა დარჩენილი - ამ უქმეებზე ბრაზილიაში და ორი კვირის შემდეგ, აბუ დაბიში. **ნიკო როსბერგი** და **ლუის ჰემილტონი** აგრძელებენ ბრძოლას ჩემპიონის ტიტულისთვის.

მას შემდეგ, რაც 2014 წელს „მერსედესი" წინ გაიჭრა, ჩემპიონობისთვის ყოველთვის ჰემილტონი და როსბერგი იბრძვიან. ზედიზედ ორი წელია, ბრიტანელი ამარცხებდა თანაგუნდელს, რითაც მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი გახდა, მაგრამ, ამჯერად, გერმანელი მზად არის რევანშის ასაღებად.

ფინიშამდე ორი რბოლით ადრე, როსბერგი ჰემილტონს 19 ქულით უსწრებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბრაზილიის გრან პრის მოგების შემთხვევაში, ნიკო ვადაზე ადრე გაიფორმებს ჩემპიონობას. თუმცა, ლუისი შესანიშნავ ფორმაშია და აშშ-სა და მექსიკაში გამარჯვების შემდეგ, მზად არის წარმატებული სერიის გასაგრძელებლად. ისიც დავამატოთ, რომ ბრაზილიის ბოლო ორი რბოლა როსბერგს აქვს მოგებული.

აღვნიშნავთ, რომ თუ როსბერგი შეინარჩუნებს უპირატესობას, მაშინ პირველად მრავალი წლის განმავლობაში, გუნდის მეორე პილოტი ჩემპიონობას გამოსტაცებს საჯინიბოს ლიდერს - ეს ვერ შეძლეს ვერც **მასამ**, ვერც **უებერმა**, ვერც **ბარიკელომ** და ვერც **კულტჰარდმა**. გარდა ამისა, **ნაიჯელ მენსელის** დროიდან მოყოლებული, არავინ მიდიოდა ტიტულამდე ასე დიდხანს: **მიკა ჰაკინენისთვის** 1988 წლის სეზონი მერვე იყო, **ჯენსონ ბატონმა** ჩემპიონატი კარიერის მეათე წელს მოიგო, როსბერგისთვის კი ეს სეზონი მეთერთმეტეა.

■ ■ ■

მომავალ რბოლაში სხვა ინტრიგებიც არსებობს. კონსტრუქტორთა თასზე სერიოზული ბრძოლაა მეორე ადგილისთვის „რედ ბულსა" და „ფერარის" შორის, ხოლო მეოთხე ადგილისთვის იბრძვიან „ფორს ინდია" და „უილიამსი".

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ის არის, რომ ბრაზილიელი ფელიპე მასა ბოლო საშინაო გრან პრის ჩაატარებს კარიერაში. რა თქმა უნდა, „ინტერლაგუშის" ტრიბუნებიდან ვეტერანს დიდი მხარდაჭერა ექნება.

ორი ამბავი დადასტურდა

ბრიტანელმა პილოტმა **ჯოლიონ პალმერმა** ერთი წლით გაახანგრძლივა კონტრაქტი „რენოს" საქარხნო გუნდთან.

ასე რომ, 2017 წელს, ფრანგული საჯინიბოს ღირსებას დაიცავენ პალმერი და გერმანელი **ნიკო ჰიულკენბერგი**.

პალმერმა წარუმატებლად დაიწყო სეზონი, მაგრამ შემდეგ შეძლო ადაპტირება და კარგი დონე აჩვენა. ამ სეზონში ბრიტანელის საუკეთესო შედეგია - მე-10 ადგილი მალაიზიის გრანპრიზე.

ასევე ირკვევა, რომ პალმერის ამჟამინდელი პარტნიორი **კევინ მაგნუსენი** ცალი ფეხით ამერიკულ საჯინიბო „ჰაასშია , რომელთანაც შეათანხმა ორწლიანი კონტრაქტი.

P. S. გუშინ, გვიან გახდა ცნობილი, რომ „ფორს ინდიამ" ჰიულკენბერგის შემცვლელად **ესტებან ოკონი** აირჩია და მასთან მრავალწლიან კონტრაქტს გააფორმებს. 20 წლის ფრანგი, ამჟამად, „მანორში" გამოდის.

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

დღის რეკორდები

		MINUTES
Jake Layman	39.0	24
Joel Embiid	29.6	107
Travis Grant	29.0	159
Michael Jordan	28.3	41,011
George Gervin	28.2	26,536

სახალისო რეკორდის ავტორი გახდა „პორტლენდის" ფორვარდი **ჯეიკ ლეიმანი**. გუშინ, დებიუტანტმა მხოლოდ მეორე მატჩი ჩაატარა კარიერაში და „კლიპერსის" წინააღმდეგ 16 წუთში 9 ქულა დააგროვა.

პირველ ნოემბერს, კარიერის სადებიუტო მატჩში „გოლდენ სტეიტის" წინააღმდეგ, ლეიმანმა ყველა გააკვირვა, როცა რვა წუთში ერთბაშად 17 ქულა მიითვალა. ასე რომ, თუ 36 წუთზე გადავიყვანთ, გამოდის საშუალოდ მატჩში 39 ქულა. ამ მაჩვენებლით მან გაუსწრო **მაიკ ჯორდანსა** და **ტრევის გრანტს**. საინტერესოა, რომ ამ ცხრილში მეორე ადგილზეა ამ სეზონის კიდევ ერთი დებიუტანტი **ჯოელ ემბიდი**.

■ ■ ■

„ვაშინგტონის" ფორვარდმა **ოტო პორტერმა** „ბოსტონთან" გუშინდელ მატჩში 34 ქულა დააგროვა, რაც მისი პირადი რეკორდია. გარდა ამისა, მან 14 მოხსნაც შეასრულა, რაც ასევე საუკეთესო შედეგია კარიერაში.

■ ■ ■

ერთბაშად რამდენიმე მიღწევა ჰქონდა **ჯეიმს ჰარდენს** „სან ანტონიოსთან" მატჩში. „ჰიუსტონის" გამთამაშებელი პირველი მოთამაშეა, რომელმაც **გრეგ პოპოვიჩის** „სპურსის" წინააღმდეგ სამმაგი დუბლი შეასრულა 15 შედეგიანი პასით.

ჰარდენმა „ჰიუსტონის" რიგებში მეათე სამმაგი დუბლი შეასრულა. უფრო მეტი აქვს მხოლოდ ლეგენდარულ **ჰაკიმ ოლაჟუონს** (14).

■ ■ ■

„ჰიუსტონთან" გუშინდელი მარცხი ზედიზედ მესამე იყო „სან ანტონიოსთვის" საშინაო არენაზე. არადა, გასულ სეზონში „სპურსს" საკუთარ მოედანზე მხოლოდ ერთი მარცხი ჰქონდა. ამ მომენტისთვის, „სან ანტონიოს" ხუთი მოგება და სამი წაგება აქვს და მეხუთე ადგილზეა დასავლეთ კონფერენციაში.

■ ■ ■

„გოლდენ სტეიტის" ფორვარდმა **კევინ დურანტმა** „დალასის" წინააღმდეგ მატჩში ისევ დააგროვა 20 ქულაზე მეტი. „დურანტულამ" ასეთი მატჩების სერია 72-მდე აიყვანა. ასეთივე შედეგი ჰქონდა **მაიკლ ჯორდანს**. შემდეგი საფეხურია - 79 20-ქულიანი მატჩი. ეს სერია **ოსკარ რობერტსონს** ეკუთვნის. ხოლო რეკორდსმენია **უილტ ჩემბერლენი** - 126.

■ ■ ■

„ფილადელფიამ" გასული სეზონი წაგებათა კატასტროფული სერიით დაიწყო და პირველ გამარჯვებას სეზონის შუა ნაწილში მიაღწია.

გუშინ, „სიქსერზმა" ისევ წააგო - „ინდიანასთან" ოვერტაიმში. ეს იყო ზედიზედ 44- წაგება, თუ ავიღებთ იმ მატჩებს, რომლებიც გუნდმა ოქტომბერსა და ნოემბერში ითამაშა. „ფილადელფიას" ბოლო მოგება 2013 წლის 22 ნოემბრით თარიღდება.

■ ■ ■

„ტორონტოს" მცველმა **დემარ დეროზანმა** „ოკლაჰომას" წინააღმდეგ 37 ქულა დააგროვა. შედეგად, დეროზანი გახდა მესამე მოთამაშე ბოლო 35 წელინადში, რომელმაც სეზონის სასტარტო შვიდი მატჩიდან ექვსში 30-ზე მეტი ქულა დააგროვა.

■ ■ ■

„ბოსტონმა" „ვაშინგტონთან" პირველ მეოთხედში მხოლოდ რვა ქულა დააგროვა. ბოლო 40 წლის განმავლობაში უფრო უარესი პირველი მეოთხედი 1974 წელს, „მილუოკის" ჰქონდა - 7 ქულა 12 წუთში.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ნიუ იორკი-ბრუკლინი 110:96

19:29, 31:26, 22:16, 38:25

ნ-ი: ენტონი (22+7 მოხსნა), პორზინგისი (21+8 მოხსნა), როუზი (14), ერნანგომესი (14), ლი (13), ჯენინგსი (3+11 პასი).
ბ: ლოპესი (21), ჰემილტონი (21).

ვაშინგტონი-ბოსტონი 118:93

34:8, 24:35, 31:26, 29:24

ვ: პორტერი (34+14 მოხსნა), უოლი (19+7 პასი), ბერკი (18), ტორნტონი (16), გორტატი (13+9 მოხსნა).
ბ: ტომასი (23+10 პასი), ბრედლი (21), სმარტი (20), ჯონსონი (11).

შარლოტი-იუტა 104:98

24:32, 27:26, 25:20, 28:20

შ: უოკერი (21+6 პასი), უილიამსი (19+8 მოხსნა), ბელინელი (13), კამინსკი (13), ზელერი (12), ჰოიესი (11).
ი: ჰეივორდი (29+7 მოხსნა), ჰუდი (20), ფეივორსი (16+10 მოხსნა), ლაილსი (10), გობერი (7+11 მოხსნა).

ორლანდო-მინესოტა 107:123

17:39, 30:35, 30:23, 30:26

ო: ვუჩევიჩი (24+14 მოხსნა+6 პასი), პეიტონი (18+7 პასი), ფურნიე (13), იბაკა (11), ჰეზონია (11), ოგასტინი (10).
მ: ლავინი (37), უიგინსი (29+6 პასი), თაუნსი (20+11 მოხსნა), მუჰამადი (13), ჯენგი (12+11 მოხსნა+7 პასი), ოგასტინი (10).

ინდიანა-ფილადელ. 122:115 (ო)

31:26, 23:34, 30:24, 25:25, 13:6

ი: ტიგი (30+9 პასი), ჯორჯი (28+8 მოხსნა), ჯეფერსონი (18), ტერნერი (15+9 მოხსნა), მაიოზი (12).
ფ: კოვინგტონი (23), ტომპსონი (19), ჰენდერსონი (17), ოკაფორი (15), შარიჩი (14+12 მოხსნა).

ატლანტა-ჩიკაგო 115:107

35:27, 33:34, 26:27, 21:19

ა: სეფოლოშა (20), ჰოვარდი(18+10 მოხსნა), მილსეპი (16+11 მოხსნა+6 პასი), შრიოდერი (13+7 მოხსნა), კორვერი (11), ჰარდუეი (11), მუსკალა (11), დილეინი (10).
ჩ: ბატლერი (39+7 პასი+6 ჩაჭრა), უოლი (25+5 ჩაჭრა), გიბსონი (13).

ოკლაჰომა-ტორონტო 102:112

27:20, 28:42, 20:26, 27:24

ო: უესტბრუკი (36+7 მოხსნა+7 პასი), ოლადიპო (18+8 მოხსნა), ადამსი (14+12 მოხსნა).
ტ: დეროზანი (37+6 პასი), ლეონარდი (19+9 მოხსნა+13 პასი), პატერსონი (13), კეროლი (10), ნოგეირა (10+7 მოხსნა).

ფინიქსი-დეტროიტი 107:100

19:28, 35:23, 27:25, 26:24

ფ: ბლედსოუ (21+11 მოხსნა+8 პასი), დადლი (19), უორენი (18), ლენი (16+14 მოხსნა), ნაითი (14), ბუკერი (11).
დ: კოლდუელ-პოუპი (27), დრამონდი (18+14 მოხსნა), მორისი (16), ლოუერი (11+9 მოხსნა).

სან ანტონიო-ჰიუსტონი 99:101

24:33, 36:30, 20:22, 19:16

ს-ა: ლენარდი (34+7 მოხსნა), ოლდრიჯი (14), ლი (10), მილზი (8+10 პასი).
ჰ: ჰარდენი (24+12 მოხსნა+15 პასი), ანდერსონი (20+8 მოხსნა), გორდონი (15), კაპელა (12), დეკერი (10+7 მოხსნა).

კლიპერსი-პორტლენდი 111:80

36:16, 25:16, 32:18, 18:30

კ: გრიფინი (22+13 მოხსნა), პოლი (19+7 პასი), ჯორდანი (16+9 მოხსნა), სპეიტსი (12+8 მოხსნა), რედიკი (10).
პ: ნაპიერი (11), ტერნერი (10), ვონლე (5+11 მოხსნა).

გ. სტეიტი-დალასი 116:95

34:15, 33:21, 17:32, 32:27

გ-ს: დურანტი (28+10 მოხსნა), კარი (24+6 პასი), ტომპსონი (20), გრინი (16+8 მოხსნა).
დ: ბარნსი (25+8 მოხსნა), ანდერსონი (16+8 მოხსნა+7 პასი), პაუელი (14+9 მოხსნა), სეტ კარი (10+10 პასი).

ჩოგბურთი

კარიერის ზენიტი 37 წლის ასაკში

37 წლის **ივო კარლოვიჩმა** 2016 წლის სეზონში ორი ტურნირი მოიგო, რითაც გახდა ერთ-ერთი ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე, ვისაც პროფესიულ ტურში გაუმარჯვია. კერძოდ, ხორვატმა მთავარი პრიზი მოიპოვა ნიუპორტისა და ლოს კობოსის ტურნირებზე.

ამგვარმა წარმატებულმა გამოსვლამ კარლოვიჩს საშუალება მისცა, რეიტინგის მე-20 საფეხურზე დაესრულებინა სეზონი. საინტერესოა, რომ ივოს 16-წლიან კარიერაში არასოდეს ყოფილა შემთხვევა, რომ მას წელი რეიტინგის ტოპ-ოცეულში დაესრულებინოს. სეზონის ბოლოს მისი საუკეთესო შედეგი იყო - 22-ე ადგილი 2007 წელს. ხოლო რეიტინგში მისი სარეკორდო მაჩვენებელია მე-14 ადგილი, რომელსაც გასული წლის აგვისტოში მიაღწია.

თუმცა, კარლოვიჩისთვის სეზონი დასრულებული არ არის. ის მიწვეულია დევისის თასზე ხორვატიის ნაკრების შემადგენლობაში, რომელსაც ფინალი ელოდება 25-27 ნოემბერს, არგენტინის ნაკრების წინააღმდეგ.

ცხელი ხაზი

ფეხბურთი

მუნდიალი 2018

სამხრეთი ამერიკა

კოლუმბია-ჩილე	0:0

ამხანაგური მატჩი

ყატარი-რუსეთი	2:1

ევრო 2017

UNDER 17

უელსი-საბერძნეთი	0:2
შვეიცარია-სომხეთი	4:0
უნგრეთი-იტალია	0:1
ბულგარეთი-პორტუგალია	1:0
დანია-ბელარუსი	5:0

კალათბურთი

ევროლიგა

უნიქსი-ცრ. ზვეზდა	65:62
დარუშაფაკა-ბამბერგი	72:70
პანათინაიკოსი-მაკაბი	83:75 (ო)
მილანი-ეფესი	105:92

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

კოლამბუსი-ანაჰაიმი 3:2 (ო)

2:0, 0:1, 0:2

გოლები: 1:0 ჯენერი-1 (ჰარტნელი-4, ატკინსონი-4), 2:0 საადი-4 (რ. მარეი-1, ჯ. ჯონსონი-2), 2:1 რაკელი-4 (ფაულერი-5, მენსონი-4), 2:2 რიტჩი-3 (კრამაროსა-1), 3:2 ვერენსკი-3 (ვენბერგი-12, საადი-6).

ბაფალო-ოტავა 2:3 (ბ)

1:0, 0:1, 0:0, 0:0, 1:2

გოლები: 1:0 ბაპტისტი-2 (შნაიდერი01, გრანტი-1), 1:1 ძინგელი-5 (ბრასარი-5, ფანოფი-3).
ბულიტები გაიტანეს: რაინჰარტი (ბაფალო), ტარისი (ოტავა), რაიანი (ოტავა).

სტ. ლუისი-ჩიკაგო 1:2 (ო)

0:0, 0:1, 1:0, 0:1

გოლები: 0:1 მარიან ჰოსა-7 (ფორსლინგი-2, პანარინი-9), 1:1 პიეტრანჯელო-3 (შვარცი-2, ტარასენკო-7), 1:2 პანარინი-6 (სიბრუკი-9, პ. კეინი-12).

MIKE TYSON: UNDISPUTED TRUTH

მაიკ ტაისონი დასუნდობელი სიმართლე



(გაგრძელება. დასაწყისი 2015 - N160-163, 165-168, 170-72, 175-78, 180-82, 185-88, 190, 192, 193, 195-198, 201-203, 205-08, 212-13, 215-18, 220-23, 225-26, 228, 230-33, 235-38, 240-41, 243, 245-48, 250-51, 253, 255-56; 2016 - N2-4, 6, 8-9, 11, 13, 16, 17, 19-21, 23-24, 27, 29, 31-32, 34, 37, 39, 46, 47, 49, 51-54, 56, 59, 61-63, 66, 69, 71, 72, 79, 85-88, 90, 93, 96, 98, 100, 101, 105, 106, 198, 201, 202, 206, 207, 208, 213, 216, 217, 220, 221)

მინდოდა **ექსოდუსისთვის** იქ, ზეცაში რაღაც მემკვიდრეობა შემექმნა. მინდოდა მას სცოდნოდა, რომ მამამისი ღირსეულად იქცევა, უმკლავდება მრისხანების შემოტევებს და თანდათან გადადის ცხოვრების სხვა დონეზე. დავკარგე ექსოდუსი, მაგრამ მყავდა **მილანი**. მინდოდა, მილანს და ჰყოლოდა და ისინი ერთად გაზრდილიყვნენ. გულწრფელად მჯეროდა, რომ მილანი ღმერთისგან ბოძებული საჩუქარი იყო და ამით უნდა გადამეტანა ეს ტრაგედია, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ვერ შემიცვლიდა ექსოდუსს. მილანი იყო შესაძლებლობა, გავმხდარიყავი ნამდვილი მამა. და შემდეგ, უკვე ამ ათვლის წერტილიდან, შევძლებდი ურთიერთობა აღმედგინა სხვა შვილებთან. წლები გავიდა ანონიმური ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების კრებებზე სიარულში, „ანონიმური ალკოჰოლიკების" დიდი წიგნის შესწავლაში, რეაბილიტაციის პროგრამის გავლაში. და შემდეგ, მოულოდნელად, იღუპება ჩემი გოგონა და მთელი ეს ცოდნა ქრება, ორთქლდება, თითქოს არასოდეს არაფერი შემეგროვებინოს, თითქოს არც ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ეს პერიოდი. უბრალოდ, ყველაფერი ერთბაშად ჩამოიშალა. მაიკ, იმუშავეთ თქვენს ნაკლზე! მაიკ, იმუშავეთ ქალებთან ქცევაზე! მაიკ, უარი თქვით ნარკოტიკებზე! მაიკ, დაიგდეთ წონა და აირჩიეთ ცხოვრების ჯანსაღი წესი! მაიკ, ნუ უყურებთ ქალს სამ წამზე მეტს! არ მინდა ისე მოგეჩვენოთ, თითქოს ჩემს მართვას ცდილობდნენ, მაგრამ ყველაფერი, რასაც სარეაბილიტაციო ცენტრებში მასწავლიდნენ, თითქოს ჩემს გონებაში ჩაიკეტა.

ნამდვილი ტკივილი ექსოდუსის სიკვდილიდან ერთი კვირის შემდეგ ვიგრძენი. **კიკი** და **რიტა** სადღაც წავიდნენ და ჩემს ქალიშვილს, მაიკის ვთხოვე, კარი დაეხურა და მარტო დავეტოვებინე. ავდექი და ცოტა კოკაინი მივიღე. როცა საკუთარ სურვილს ვერ ვეწინააღმდეგები, სრულიად უმართავი ვხდები. და რამდენიმე დღე აღარ გამოვფხიზლებულვარ. კიკი იმდენად განაწყენებული და შეშფოთებული იყო, რომ უკვე ველარაფრით მეხმარებოდა. ვერავინ ახერხებდა ჩემს შეჩერებას. კიკი მხოლოდ იმას მეხვეწებოდა, რომ სახლიდან არ გავსულიყავი და სახლში მიმეღო კოკაინი. უნდოდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ გარეთ გასულს არაფერი დამემართებოდა.

ერთ ღამეს არ დამეძინა, სახლში ვიყავი და ისევ კოკაინს მივმართე. კიკიც ფეხზე იყო, ვსაუბრობდით. დილით ის პირობით განთავისუფლებაზე თავის ინსპექტორს უნდა შეხვედროდა. ღამით ჩვენი ურთიერთობის რამდენიმე რთული მომენტი განვიხილეთ და გადავწყვიტეთ, უახლოეს პერიოდში დავქორწინებულიყავით. როცა სახლიდან გადიოდა, აღგზნებული ვიყავი. რამდენჯერმე მოვეხვიე და ვაკოცე. შემდეგ აივანზე გავედი და გამომშვიდობებისას ხელი დავუქნიე.

- მიყვარხარ, - ვთქვი მე და ჰაერივანი კოცნა გავუგზავნე იმ დროს, როცა მანქანაში ჯდებოდა.

კიკი თავის ინსპექტორს შეხვდა, რომელმაც ის შარდის ანალიზის ჩასაბარებლად გაუშვა. რამდენიმე წუთში ინსპექტორი დაბრუნდა და გამოაცხადა:

- კოკაინი აღმოგაჩნდათ.

- ეს შეუძლებელია. მე არ ვიღებ ნარკოტიკებს, - გააპროტესტა კიკიმ.

- ეს ძალიან სერიოზული საქმეა, კიკი. თქვენს ქალიშვილს ძუძუთი კვებავთ. კოკაინზე დადებითი ტესტი შეიძლება იმის მიზეზი გახდეს, რომ ბავშვი წაგართვან.

- რა?? მე არ მიმიღია კოკაინი! - დაიყვირა მან. - მოიცადეთ. შეიძლება ტესტის დადებითი შედეგი ვინმესთან კოცნამ გამოიწვიოს?

- ამის შესახებ არაფერი გამიგია. მაგრამ, თუ თქვენ ვარაუდობთ, რომ კოკაინი შეიძლებოდა თქვენს ორგანიზმში ამ გზით მოხვედრილიყო, მაშინ კიდევ ერთი საათი მოიცადეთ და განმეორებითი ანალიზი ჩავატაროთ. თუ ეს ნარკოტიკის უმცირესი რაოდენობა იყო, ის უკვე გამოსული იქნება თქვენი ორგანიზმიდან.

ცოტა ხანში, ტელეფონმა დამირეკა.

- დამპალო! - დამიყვირა კიკიმ ყურმილში. - ჩემი ბავშვის წართმევას მიპირებენ შენ გამო! ნარკომანო! კოკაინზე დადებითი ტესტი ჩავაბარე! ახლა, შენი ნარკომანობა ჩემს ოჯახზე აისახება! შეიძლება ჩემი ქალიშვილი დავკარგო! როგორ შეგეძლო ჯერ კოკაინი მიგელო და შემდეგ ჩემთვის გეკოცნა?

ცუდ დროს დამირეკა. ზუსტად იმ დროს დოზა მქონდა მიღებული. მაგრამ გამოვიყენე არა დარჩენილი მცირე რაოდენობა, რომელიც ქაღალდის ნაგლეჯზე ეყარა, არამედ სოლიდური დოზა ავლოკე საკონსერვო ქილიდან. იმდენად ბევრი იყო, რომ ენას ველარ ვგრძნობდი.

ყურმილი დავკიდე, მაიკის ვუთხარი კარი ჩაეკეტა და გზას გავუდექი. ჩემი სახლიდან ლას ვეგასის დასავლეთით გეტომდე 20 მილი გავიარე. კაიფის ქვეშ ვიყავი და პირუტყვივით გავოფლიანდი. ყველა მანქანას მიჩერებდა და წაყვანას მთავაზობდა.

- ეი, მაიკ! მანქანაში ჩაჯექი, მეგობარო! - მიყვიროდნენ ისინი.

- არა, თავი დამანებე. ძალიან ცუდად ვარ.

- იქნებ პოლიცია გამოვიძახო?

- არა, ყველაფერი წესრიგშია.

კიკიმ ერთი საათის შემდეგ განმეორებითი ანალიზი ჩააბარა და ამჯერად, პასუხი უარყოფითი იყო. მაგრამ მე ეს არ ვიცოდი. უბრალოდ, მივდიოდი და მივდიოდი. და როცა სახლში დავბრუნდი, ისევ კოკაინი მივიღე. ორდღიან კაიფში წავედი.

შემდეგ, ჩემი ჯერი დადგა - ჩამეგდო ნარკოტესტი. ჩემი შარდიც ჭუჭყიანი აღმოჩნდა. ჩვეულებრივ, ეს არ მაღელვებდა ხოლმე, რადგან ჩემი ადვოკატის პარტნიორი ჩემი ინსპექტორის ახლო მეგობარი იყო. მაგრამ, ამჯერად, ყველაფერი გართულდა. ასე რომ, ჩემი ტესტის შედეგისა და კიკის კოცნასთან დაკავშირებული ინციდენტის გათვალისწინებით, თავისუფლად შეეძლოთ ციხეში შევებრუნებინე. ყოველ შემთხვევაში, შეეძლოთ ისევ არიზონაში გავეშვი და იქ მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ ვყოფილიყავი. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მე და კიკის დაგვაშორებდნენ, რადგან ის აქ ლას ვეგასში იყო ზედამხედველობის ქვეშ.

- მაიკ, თუ შენ ციხეში ჩაჯდები, მე შენი მეგობარი გოგონას სტატუსით არანაირი უფლება არ მექნება, რადგან მეც გამოსაცდელ ვადაზე ვარ, - მითხრა ერთხელ კიკიმ. - შენს მონახულებასაც ვერ შევძლებ, მიუხედავად იმისა, რომ საერთო შვილი გვყავს. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც მინდა შენთან დაქორწინება. ჩვენ ხომ ნებისმიერ შემთხვევაში დავქორწინდებით?

- კარგი. როდის გინდა ამის გაკეთება? - ვკითხე მე.

- მართლა? ხვალ, - მიპასუხა მან.

- რატომ დღეს საღამოს არა?

საღამოს ექვსი საათი იყო, 6 ივნისი. ათი დღე იყო გასული ექსოდუსის სიკვდილიდან. კიკიმ ინტერნეტში დაიწყო ეკლესიების ძებნა საქორწინო მომსახურებით, რამდენიმე ადგილას დარეკა და ბოლოს, სასტუმრო „ჰილტონთან" ახლოს მდებარე ეკლესიიდან უთხრეს, რომ პირდაპირ ახლა შეეძლოთ ჩვენი მიღება. კიკი ამას წმინდა პრაქტიკულ საკითხად აღიქვამდა, მაგრამ მე მიყვარდა ეს გიჟი ქალი. არ მინდოდა მასზე დაქორწინება მხოლოდ იმისთვის, რომ ის და ბავშვი ჩემთან მოსულიყვნენ ციხეში. მასზე დაქორწინება მინდოდა იმის გამო, რომ მის გარეშე ცხოვრება არ შემეძლო. ჩვენ ვილაპარაკეთ ამ თემაზე და მან მითხრა, რომ ულტიმატუმს არ წამომიყენებს, მაგრამ თუ მასზე არ ვიქორწინებ, არ აპირებს წლობით ლოდინს ოჯახის შესაქმნელად. მას შეუძლია სხვა სიტუაციით ისარგებლოს, თუ ასეთი გამოჩნდება, რადგან სურს სრულფასოვანი ოჯახი ჰყავდეს.

მაიკის და კიკის ქორწილი

იმავე საღამოს, როცა დაქორწინება შევთავაზე, ნერვის საშინელი ტკივილი ვიგრძენი კისრის არეში. სასტუმრო „ჰილტონისკენ" მივდიოდით და ტკივილისგან ვიტანჯებოდი.

- არ არის აუცილებელი ჩემზე დაქორწინება. არ გაძალებ, - თქვა კიკიმ და ატირდა.

- მე მინდა შენზე დაქორწინება, უბრალოდ, კისერი ძალიან მტკივა. რატომ უნდა იყოს ყოველთვის ყველაფერი აუცილებლად შენთან დაკავშირებული? რატომ უნდა ვმხიარულობდე და ვიცინოდე შენსავით? უბრალოდ, ამწუთას, ძალიან მტკივა.

ჩემს საქმეებში სრული ქაოსი და არეულობა იყო. კოკაინის მიღებისგან ტუჩზე ჰერპესი გამივითარდა. ზედმეტი წონა მაწუხებდა, ახლა კი ნერვის ანთებაც დაემატა. ამასობაში, კიკი საქორწინო საქმეებით იყო დაკავებული. იმის გამო, რომ ცრუმორწმუნე იყო, საჭირო გახდა ტანსაცმელში რაიმე ლურჯი დეტალი, ამიტომაც ამ ფერის ტრუსები ჩაიცვა. ასევე საჭირო იყო რაღაც ნივთი სხვა ადამიანისგან, ამის გამო, დედაჩემის სამაჯური გაიკეთა. რაც შეეხება ძველ ნივთებს, ასეთი ბევრი გვქონდა, ასე რომ, ამ მხრივ, პრობლემა არ არსებობდა. ეკლესიამდე მივედით და თვალებს ძლივს დავუჯერე - ბიჭი, რომელსაც უნდა დავექორწინებინეთ, „სლიკს" (პროფესიული რესტლინგის მენეჯერის **კენ ჯონსონის** ფსევდონიმი) ჰგავდა, რესტლინგ-მენეჯერს, რომელიც „ბიგ ბოსს მენას" (ცნობილი ამერიკელი რესტლერის, **რეიმონდ უოლტერ ტეილორის,** ფსევდონიმი) საქმეებს განაგებდა. მასთან შედარებით, მე და კიკი იმდენად არალოგიკურად გამოვიყურებოდით, რომ თავიდან ფოტოების გადაღებაც არ გვინდოდა. მაგრამ შემდეგ „გავტყდით" და მაინც გადავიღეთ სურათები.

როცა ფოტოების დათვალიერება დავიწყეთ, ამ ბიჭმა თქვა: *„ეს იქნება შემოწირულობა, 75 დოლარი"*. როგორც შეიძლება შემოწირულობის ფასის დაწესება? ვგრძნობდი, რომ ის პოლიციაში დარეკვას აპირებდა, თითქოს ფოტოებთან ერთად გაქცევას ვაპირებდით.

სახლში დავბრუნდი. მილანი ტიროდა, ამიტომაც კიკი ზემოთ გაიქცა მის გამოსაკვებად. რიტა ტელევიზორს უყურებდა.

- დედა, ახლახანს დავქორწინდით, - ვუთხარი მას.

- მართლა? შეუძლებელია! ვინ დაგაქორწინათ? - მკითხა მან.

- „სლიკმა" რესტილინგის მსოფლიო ფედერაციიდან, - ვუპასუხე მე. შემდეგ მოვუყევი, როგორც იყო ყველაფერი. შეშფოთებული ჩანდა.

ბეჭდები არ გაგვიცვლია, არ გვქონია თაფლობის თვე. ბეჭდები მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გავცვალეთ, თაფლობის თვე კი ორი დღის შემდეგ დასრულდა. მე და კიკი არასოდეს ვჩხუბობდით. სრულ სიმშვიდეს ვინარჩუნებდით იქამდე, სანამ არ ვიტყოდი: „აი, ახლა გიჩვენებ!" და ამის შემდეგ, ვიწყებდით ჩხუბს, როგორიც არავის უნახავს. ისევ მრჩებოდა მიდრეკილება ნარკოტიკების მიმართ და ხანდახან ზღვარს გადავდიოდი. ვჩხუბობდით სახლიდან ჩემი პერიოდული გაქრობის გამო. სწორი მიმართულებით გადავდგი ნაბიჯი: კოკაინს ყოველდღე აღარ ვიღებდი, შემდეგ კვირაში ერთ დოზაზე გადავედი, ორ კვირაში ერთზე, სამ კვირაში ერთზე და ბოლოს, თვეში ერთხელ ვეტანებოდი ნარკოტიკს.

(გაგრძელება იქნება)

გია თვალაგეიშვილი

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი **ჟპს გამომცემლობა ლელო**
ISSN 2233-3827
9 772233 382000
გამოიცემა ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა
დაიბეჭდა სტამბა კოლორში

საპატიო რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
საკონტაქტო ტელეფონი რედაქციაში ***238 84 44; 599 55 48 97***

მთავარი რედაქტორი გია თვალაგეიშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: **ნიკოლოზ ნეფარიძე (595 09 03 28);** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-2015), გია თვალაბეიშვილი (2015-დან)**

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: leloltd@gmail.com; მისამართი: **იოსებიძის, 49.** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**

ტელეფონი: 238 84 44; 238 74 44 (**რედაქცია**). ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70; გაზეთის გამოწერა: 238 26 73.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: **შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608**

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით, ვებ-გვერდზე: www.elva.ge ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით: 237 50 03; ადგილზე მიტანა უფასოა!